

## საბა

### საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

№ 4  
აპრილი  
2007

ქრისტე აღდგა!

რედაქციის გვერდი

### აღდგომის გარიურაჟი

ქრისტიანული რწმენა შაბათის მომდევნო დღის პირველ გარიურაჟზე იშვა. ის „მცირედმორწმუნეობა“, რაზეც ხშირად მიანიშნებდა იქსო და რაც მოწაფებში ვლინდებოდა მოძღვართან გატარებული სამი წილს მანძილზე, იქსოს სიკვდილთან ერთად გაქრა, მაგრამ აღდგომასთან ერთად სრულიად ახლებურად იშვა. „მცირედმორწმუნეობა“ პასექის დილით აღდგა, როდესაც პირველად, მტირალი მარიამ მაგდალელი, იმ სამარხის გარეთ მდგომი, სადაც იქსოს სხეული იყო დასვენებული, შეხვდა მას და იგი მხოლოდ მისი ხმის გაგონებაზე შეიცნო, როცა სახელით მიმართა; „მცირედმორწმუნეობა“ იმ გზის შემდეგ აღდგა, სამარხისაკენ რომ გაირბინეს სულმოუთქმელად იოანემ და პეტრემ, „მას შემდეგ, რაც იხილეს, მიწაზე დაგდებული ტილოები, და სუდარა, რომელიც სახეს უფარავდა, ეგდო არა მიწაზე ტილოებთან ერთად, არამედ განცალკევებით, დაფენილი“; სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას შემდეგ, რაც დაინახეს, რომ ტილოები ჯერ კიდევ იქ ეყარა, გაუშლელად, იმ სუდარის გვერდით, სუდარა კი განცალკავებით (*choris*), ხელმოუკიდებლად, ჯერ კიდევ იმავე ადგილას (*eis ena topon*), რაშიც დატოვეს... თუმცადა მასში აღარ იყო ჯვარცმულის სხეული, თითქოს გადმოცურდა და ხელუხლებლად დაეტოვებინა ყველაფერი. ბერძნული სიტყვა *pisteuo* იოანე მახარობელმა იხმარა და ის სავსე რწმენას გულისხმობს, ისეთს, როგორც ებრაელ ამანს პქნდა, ვინაიდან მათ აქამდე ვერ გაეგოთ წმიდა წერილი, ანუ ის ფაქტი, რომ იქსო სიკვდილიდან უნდა აღმდგარიყო (იოან. 20,9-10). იგი იმავე დღის მწუხარზე აღდგა, როდესაც ორი ემაუსელი მოწაფე – ერთი, სახელად კლეოპა, როგორც ლუკა მახარობელი უწოდებს (24,18), მეორეს კი ზოგნი მის ცოლად მოიხსენებს, რაკიდა კლეოპას ცოლი მარიამი იმ ქალებს შორის იყო, რომლებიც ჯვარცმამდე გაპყვნენ იქსოს (იოან. 19,25), – მას „გზაზე“ შეხვდა და მანამ ვერ იცნეს, სანამ პურის გატეხვისას არ იხილეს. „მცირედმორწმუნეობა“ აღდგა თომაშიც... და სხვებშიც. წმ. პავლე სულ რაღაც 500 კაცზე საუბრობს (1კორ. 19, 25)! წმიდა წერილში მრავალი მამაკაცისა და დედაკაცის მოწმეობას ვხედავთ, – რაც იმდროისათვის

წარმოუდგენელი ფაქტია, – ოომლებმაც „იხილეს“ აღმდგარი, ესაუბრნენ მას, ჭამეს მასთან ერთად, გაიარეს მასთან ერთად... ამიტომაც რწმენა ემყარება „მოციქულთა და წინასწარმეტყველთა მოწმობას“ (ეფ. 2,20), ამიტომაც მოციქულები „აღდგომის მოწმობას იძლევიან“ (საქ. 4,33).

აღმდგარ ქრისტეზე შეძენილი ჩვენი „ცოდნა“ მათ „ცოდნას“ ემყარება.

პასექი ქრისტიანთათვის ორმაგი აღდგომაა: იქსოსი და მისი რწმენისა.

და სწორედ იმიტომ, რომ ქრისტიანული რწმენა იქსოს აღდგომიდან და აღდგომაზე მოციქულთა დამოწმებიდან იშვა, გაცილებით ადრე, ვიდრე მის სიცოცხლზე, მის უწყებაზე, მის საქმეებზე ან ვნებაზე დაამოწმებდნენ, ქრისტიანული რწმენა ნამდვილი პარადოქსია; აღდგომის გარეშე ფუჭი იქნებოდა იქსოს ცხოვრება, მისი მქადაგებლობა, მისი სასწაულები, მისი სიკვდილი და ფუჭი იქნებოდა ჩვენი რწმენა; ისინი, ვინც იქსოს სიცოცხლის, მისი მქადაგებლობის მოწმენი იყვნენ, მისი აღდგომის თვითმხილველი როდი იყვნენ; ისინი მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდნენ, რაც უკვე უწყოდნენ, მაგრამ ამოწმებდნენ იქსოში თავიანთი რწმენის „აღდგომას“; ის „მწირი რწმენა“, რაც, ერთი მხრივ, მათ აკავშირებდათ ნაზარეველ იქსოსთან, მისი აღდგომის შემდეგ ურყევ, დაუძლეველ, აქამდე წარმოუდგენელ რწმენად იქცა. ქრისტიანული რწმენა ნამდვილი პარადოქსია, რადგანაც აგებულია არა იმდენად ადამიანთა

წესრიგიანობაზე და სიყოჩადეზე, იმაზე, რისი გათვლა და დახარისხება შეიძლება სარწმუნო გამოცდილებების და განსჯების წყალობით. ასე რომ ყოფილიყო, ვერ ვიტყოდით და ვერ ვიქნებოდით ნამდვილი ქრისტიანები. ქრისტიანული რწმენის პარადოქსი ისაა, რომ ის აგებულია იმაზე, რასაც ვერ აჩვენებ, ვერ აღწერ, ვერ გამოცდი იმ დონეზე, რომ შეგებლოს თავი მის სრულ მფლობელად იგრძნო, ან შეგებლოს საკუთარი ძალებით შექმნა იგი; თუმცა არც ის არ შეგვიძლია, რომ არ მივიღოთ ის, არ ვისაუბროთ მასზე და არ ვაქციოთ ჩვენი ცხოვრების ცენტრად. განა ვინ გაბედავდა იმ დღეებში ჯვარცმულზე საუბარს ისე, რომ სირცხვილი არ განეცადა და იუდეველების, ბერძნებისა და რომაელებისგან წყევლა არ მიეღო? მაგრამ დგება უამი, როცა მთელი იერუსალიმი და მთელი სამყარო ამ რწმენით აღივხება, იმის გასაცხადებლად, რომ სხვაში არავისშია ხსნა თუ არა ღმრთისაგან აღმდგარ ჯვარცმულში; რამდენადაც აუტანელი გახლდათ სირცხვილი ჯვრის სკანდალის გამო, იმდენად სწრაფმავალი გახლდათ სააღდგომო უწყება; მსოფლიოს არცერთი სხვა რელიგია არ აგებს თავის მრწამსს სიკვდილმისჯილი ადამიანის დევნით გამოწვეულ უწყებაზე; ეს ერთადერთი რელიგიაა, რომელიც იბადება ჯვარზე დაღუპულის კულტად, იმ საძულველი ჯვრისა, რომელსაც სამუდამოდ, მიწისაგან პირისა უნდა აღეგავა მისი სახელი და მისი საქმეები (*damnatio memoriae et nominis*) – აი ქრისტიანობის პარადოქსი; ეს არის ქვა, რომელზეც იგება იგი ან ქვა, რომელზეც ინგრევა; ეს გახლავთ ყოველი საუკუნის ეკლესიის უწყება.

„უფალი ჭეშმარიტად აღდგა“ (ლუკ. 24,34): არა გარეგნულად (მხოლოდ ჩვენს მეხსიერებაში აღბეჭდილი რამ), არა სავარაუდოდ (ვინც იცის, იქნებ კი და იქნებ არა), არა სიმბოლურად (როგორც სიცოცხლის დაუშრებელი ენერგიის მეტაფორა), არა განცდებით (უსუსურთა გულების

ნუგეშცემა); ეს ნამდვილი რწმენაა, რომელიც ქრისტიანთა მისალმებად იქცა კვირაში შვიდგზის, კვირის შვიდეულში – რამდენ ხანსაც გრძელდება პასექის ჟამი, ერთი ხანგრძლივი დღე „შვიდჯერ შვიდგზის“; აღდგომის უწყება უცილობელი და სასწრაფოა, უფრო მეტიც, ეს ერთადერთი აუცილებლობაა, რაც ქრისტიანებმა და ეკლესიებმა ერთმანეთში უნდა გაცვალონ; ხოლო მეტი მხურვალებით წლევანდელ წელს, როდესაც დღესასწაულის თანხვედრა მოხდა, და ვიქონიოთ იმედი, რომ შესაძლებელი იქნება საბოლოოდ საერთო კალენდრის აღიარებამდე მისვლა, რათა არა მხოლოდ საკვირაოდ, არამედ წლიურად, სტაბილური გზით აღინიშნებოდეს უფლის აღდგომა, რომელსაც შესწევს „მთების გადაადგილება“.

### მამა გაბრიელე ბრაგანტინი

#### პათოლიკ ეკლესია მსოფლიოში

19 მარტი წმ. იოსების – ბენედიქტე XVI-ის მფარველის – მოხსენიების დღეა.

16 აპრილს კი – წმიდა მამის პონტიფიკატის ორი და დაბადების 80 წლისთავია. „საბას“ მკითხველები და ავტორები გულოცავთ უზენაეს პონტიფექსს მისი წმიდანის დღეს. უსურვებთ ჩვენს წმიდა მამას ხანგრძლივსა და ნაყოფიერ პონტიფიკატს ქრისტეს ეკლესიის სადიდებლად! **Habemus Papam - Papa nos habet!**

### წმიდა მამისა და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრა

13 მარტს ბენედიქტე XVI-მ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს აუდიენცია გაუმართა. პარალელურად, ვატიკანის სახელმწიფო მდივანი კარდინალი ტარჩიზიო ბერტონე და წმიდა საყდრის მდივანი სახელმწიფოსთან ურთიერთობის სფეროში მონსინიორი დომენიკე მამბერტი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვსა და საპრეზიდენტო დელეგაციის სხვა წევრებს შეხვდნენ.

წმიდა საყდრის მიერ გავრცელებულ უწყებაში მიუთითებენ, რომ შეხვედრამ თბილ ვითარებაში ჩაიარა. აღინიშნა, რომ ვატიკანსა და რუსეთის ფედერაციას შორის საკმაოდ მეგობრული ურთიერთობები მყარდება. ამავე დროს, გამოიკვეთა თანამშრომლობის ახალი პორიზონტი – ახალი საერთო კულტურული ინიციატივები. საუბრისას შეეხნენ ეკლესიათა ურთიერთმიმართებებს, საერთაშორისო ცხოვრების საჭირობოებო საკითხებს, ახლო აღმოსავლეთის პრობლემებს. ყერადღება მიექცა ექსტრემიზმისა და შემწყნარებლობის თემებს. აღინიშნა კონფლიქტების სამშვიდობო მოლაპარაკებათა მეშვეობით გადაჭრის აუცილებლობა.

ცხადია, ყოველივე ეს დიპლომატიის ენაა. თუ შევეცდებით ამ ენის უკან არსებული რეალობის ამოკითხვას, ბოლო პერიოდის მოვლენები

უნდა გავიხსენოთ. ამ თვალსაზრისით, საქმაოდ მნიშვნელოვანია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ვენისა და აგსტრიის ეპისკოპოსის ილარიონ ალფეევის (რომელიც, ამავე დროს, მოსკოვის საპატრიარქოს წარმომადგენელი იყო) ინტერვიუ, რომელიც მან სააგენტო ინტერვიუ-რელიგიას უშუალოდ წმიდა მამისა და პუტინის შეხვედრის წინ მისცა. ერთ-ორი სიტყვით ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეპისკოპოსი ილარიონი რუსეთის ეკლესიის ტიპური წამომადგენელი როდია. მას საქმაოდ კარგი განათლება აქვს მიღებული და ოცნების უძრავი ნაშრომების ავტორიცაა. ამავე დროს, ის კარგად ერკვევა თანამედროვე ევროპულ ინტელექტუალურ კონტექსტში. მისი მეტყველება საქმაოდ დახვეწილია და მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო უწყებას ("მესიჯს") ადეკვატურად გამოხატავს. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბოლო პერიოდში განახლებული კათოლიკურ-მართლმადიდებლური დიალოგის შეხვედრებზე ის მეთოდურად აცხადებს მოსკოვის საპატრიარქოს პრეტენზიასა თუ ამბიციას მართლმადიდებელი სამყაროს ლიდერობაზე. კერძოდ, სწორედ ეპისკოპოსმა ილარიონმა დააუენა აღმოსავლურ ეკლესიებში მიღებული ტრადიციული დიპტიქის, (ტაქსისის, რიგის) გადასინჯვის საკითხი, რომ პირველი ადგილი არა კონსტანტინოპოლის, არამედ – მოსკოვის პატრიარქს უნდა ეკუთვნოდეს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს წინაშეა სერიოზული დიპლომატი, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ახალ გეგმებსა და სტრატეგიას გამოხატავს. 12 მარტს მიცემულ ინტერვიუში ეპისკოპოსამა ილარიონმა აღნიშნა, რომ კათოლიკეთა და მართლმადიდებლთა თანაზიარება უტოპიურია (რითიც, შევნიშნავთ ჩვენ, თავიდანვე ჩამოიშორა ყოველგვარი ეჭვი ფილოკათოლიკეობის შესახებ), მაგრამ, სამაგიეროდ, სავსებით შესაძლებელია თანამშორმლობა მორალისა და კულტურის სფეროში. ევროპაში გაბატონებული აგრესიული სეკულარიზმი და მორალური რელატივიზმი, ეპისკოპოსის აზრით, თანამედროვეობის სერიოზული გამოწვევაა. სწორედ ამ ასპექტით მართლმადიდებლები და კათოლიკეები თანამოაზრენი და თანამებრძოლნი უნდა გახდნენ. ილარიონ ალფეევი მიიჩნევს, ბენედიქტე XVI-ის აღსაყდრების შემდეგ კათოლიკურ-მართლმადიდებლურ დიალოგში მნიშვნელოვანი პროგრესი შეიმჩნევა – ვლადიმირ პუტინის პაპთან შეხვედრა კიდევ ერთი ნაბიჯია ამ მიმართულებით.

როგორც ვხედავთ, მოსკოვის საპატრიარქო სერიოზულადაა განწყობილი. რომისა და კონსტანტინოპოლის დაახლოებას ის, ასევე, რომთან დაახლოებით უპასუხებს. რუსეთს აშკარად სურს მართლმადიდებელ სამყაროში ლიდერობა. ერთი-ერთი ნაბიჯი კი ამ მიმართულებით რომთან დაახლოება და კონსტანტინოპოლისათვის ინიციატივის ჩამორთმევაა. ამ ახალ ინიციატივაში თავის როდს რუსეთი პრეზიდენტიც ასრულებს.

უზენაეს პონტიფიქსთან შეხვედრის შემდეგ პუტინი ბარიში გაემგზავრა და კათოლიკურ ბაზილიკაში, რომელშიც წმ. ნიკოლოზი ასვენია, წმიდა ნაწილების წინ ილოცა. საგულისხმოა, რომ რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტის ერთი კონკრეტული მიზანი 1913 წელს ბარიში

რუსული ეკლესიის მიერ წმ. ნიკოლოზის სახელზე აშენებული ტაძრის მოსკოვის საპატრიარქოსათვის გადაცემა იყო. პუტინმა წმიდა მამას იტალიის მთავრობის წინაშე ამ საქმეში შეამდგომლობა სთხოვა. ჩვენი მხრივ, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ტაძარი 1937 წელს სწორედ ბარის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა და ის აქამდე იტალიის სახელმწიფოს (კერძოდ, ბარის მუნიციპალიტეტის) საკუთრება იყო. ბენედიქტე XVI-ის ჩარევის შედეგად მალე ის პვლავ რუსეთის ეკლესიას დაუბრუნდება.

როგორ უნდა გავიაზროთ ყოველივე ეს? რა დასკვნების გამოტანა შეიძლება მოსკოვის საპატრიარქოს მოქმედებიდან?

უპირველეს ყოვლისა, უნდა შევნიშნოთ, რომ მოსკოვის საპატრიარქო ცდილობს “დროს არ ჩამორჩეს”. 2005 წელს მან შექმნა სოციალური მოძღვრების კონცეპცია, რომელიც საპატრიარქოს მომავალი სოციალური დოქტრინის საფუძველი უნდა გახდეს. თუ მოცემულ დოკუმენტს კარგად გადავიკითხავთ, დავინახავთ, რომ ბევრი დებულება ლეონ XIII-ისა და იოანე პავლე II-ის შესაბამისი ენციკლიკების – **Rerum Novarum** და **Centesimus Anus** – სრულიად ცალსახა გავლენითაა შექმნილი. რა თქმა უნდა, ამაში არაფერია დასაძრახი, – პირიქით – თუკი რუსეთის ეკლესია ცდილობს, რომ გაიზარდოს და კარგ მაგალითს მიბაძოს – ეს ოდენ სასიხარულოა. ასევე, რომთან დაახლოება, რა მოტივითაც არ უნდა ხდებოდეს, მხოლოდ სასიკეთოა და ნამდვილად წაადგება ნებისმიერ ადგილობრივ აღმოსავლურ საპატრიარქოს.

მაგრამ ამ ყველაფერს ოდენ ერთი რამ აფერმკრთალებს – მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის გადასინჯვის, კონტანტინოპოლის პატრიარქის ბართლომე I-ის უპატივცემულობისა და ლიდერობისაკენ დაუფარავი სწრაფვის სრულიად აშკარა ფაქტი. ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ რუსეთს სურს, რომთან ურთიერთობაში აღმოსავლური მხარის უმთავრესი და უპირველესი წარმომადგენელი გახდეს. საპატრიარქოს ამგვარი სტრატეგია სრულ “სიმფონიაშია” (თანხმობაშია) რუსეთის სახელმწიფოს იმ ოფიციალურ კურსთან, რომელსაც ცნობილმა პოლიტიკოსმა და ბიზნესმენმა ანაგოლი ჩუბაისმა ლიბერალური იმპერიის იდეა უწოდა – როცა გავლენის მოპოვება არა ძალისმიერი, არამედ – ეკონომიკური საშუალებებით ხდება.

რომის ეკლესია დღეს თავის უმთავრეს პრიორიტეტად აღმოსავლურ არაკათოლიკურ ეკლესიებთან სრული ერთობის აღდგენას მიიჩნევს. წმიდა მამამ არაერთხელ აღნიშნა, რომ ესაა მისი პონტიფიკატის მთავარი მისია. კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან ურთიერთობაც სწორედ ამ ნიშნითაა სამაგალითო – მხარეები არ მალავენ, რომ ყველაფერი თანაზიარებით უნდა დაგვირგვინდეს. ამისაგან განსხვავებით, მოსკოვის საპატრიარქოს “გამხმოვანებელი” ეპისკოპოსი ილარიონი თანაზიარებას უტოპიურ იდეად მიიჩნევს, რაც სრულიად ცალსახად მიუთითებს, რომ მოსკოვის ინტერესები პოლიტიკურია და არა – საეკლესიო ერთობისაკენ სწრაფვით განპირობებული.

მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა აღინიშნოს – ტრადიციულად ანტიკათოლიკური რუსეთი, მართალია, – გარეგნულ, მაგრამ მაინც დაახლოებისაკენ მიმართულ გარკვეულ ნაბიჯებს დგამს –

ანტიკათოლიკური რიტორიკა თვალში საცემი აღარაა, პეტროპავლოვსკ-კამჩატკაში ახალი კათოლიკური ტაძარი აშენდა.

დაბოლოს, რუსეთის პრეზიდენტისათვის გამართული აუდიენცია რომის კეთილი ნების გამოხატულებაა. ამით წმიდა საყდარი აღიარებს, რომ რუსეთში კათოლიკეთა მდგომარეობა ცოტათი უფრო ნორმალური გახდა. ამ ფონზე, ძალზე სამწუხაროა, რომ საქართველოს პრეზიდენტს უზენაეს პონტიფექსთან აუდიენციაზე ზედიზედ ორჯერ უთხრეს უარი (რაც ქართულ პრეზას არც კი გაუშუქებია). მიზეზის ძებნას დიდი დრო არ სჭირდება – მიტაცებულ ეკლესიებსა და დაუფარავ ანტიკათოლიკურ განწყობებზე სამართლებრივი პასუხი სახელმწიფოს მხრიდან ჯერ კიდევ არ ისმის. ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ სინდისის თავისუფლებაზე ბენედიქტე XVI-ისეული აპელირება, რომელსაც მან თურქეთში ვიზიტის დროს მიმართა, საქართველოსათვისაც აქტუალურია – ორივე ეს ქვეყანა ხომ, ბოლოსდაბოლოს, ევროპისაკენ მიისწრაფვის.

## იაკობ დუმბაძე

### „სიკვდილის მარში“ – ჩინეთის წამებულნი

გთავაზობთ პონგ-კონგის ამჟამინდელი ეპისკოპოსის, კარდინალ იოსებ ძებ ძე კუინის წიგნის – „რამდენი უდანაშაულო წაიყვანეს ცხვარივით ყასაბთან...“ – წინასიტყვას. წიგნი იტალიაში ზამთარში გამოვიდა. მასში პირველად არის თავმოყრილი და მკითხველთა ფართო წრისათვის მიწოდებული ზოგიერთი ჩინელი კათოლიკის მონათხობი, რომელთაც 1940-1983 წლებში დევნიდნენ და ხოცავდნენ.

2006 წლის თებერვალში, როცა რომში ვიყავი კარდინალად ხელდასხმასთან დაკავშირებით, ჩემი თანამემამულე ჩინელი კათოლიკებისათვის წირვა აღვავლინე, სადაც ვთქვი: „წითელი მანტია, რითაც ვიმოსები, მეტყველებს, რომ კარდინალი მზად არის საკუთარი სისხლი დაღვაროს“. სისხლი კი დაიღვარა, მაგრამ არა ჩემი... ეს ოფიციალური და მიწისქვეშა ეკლესიის უსახელო გმირთა სისხლი და ცრემლია, იმათი, რომელებიც ეკლესიის ერთგულების გამო ეწამნენ.

იმ უამრავ კათოლიკეთა შორის, რომლებიც ოცდაათი წელი და მეტი ხნით იყვნენ დატყვევებულნი ჩინეთში, ცოტანი როდი არიან, ვინც მოგონებები დატოვა. მრავალი მათგანი ხანგრძლივი პერიოდით იყო ჩაკეტილი. ამისათვის მყარი მოტივი არსებობდა. მათ არ სურდათ პოლიტიკური ხელისუფლების გაღიზიანება და ჩვენი სულიერი მმების საფრთხეში ჩაგდება (...).

დღეს უკვე გაუგებარი და მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა, რომ ისევ დუმილის გზას გავყოლოდით. როგორც ხშირად შეგვახსენებდა პაპი იოანე პავლე II, ჩვენი ვალია, გვახსოვდეს და მოვიგონოთ XX საუკუნის მარტვილები, ნებისმიერ რეზიმში მყოფნი, განურჩევლად ყველა.

ჩინეთის ეკლესიის წამებულნი და აღმსარებელნი მთელ საქრისტიანოს მიეკუთვნებიან და ყელას უნდა ვაჩვენოთ მათი მოწმეობა, რათა მთელი მსოფლიოს ქრისტიანთა რწმენა გამოიკვებოს.

მით უმეტეს, როცა იმ დევნების მსხვერპლი, – ანდა სჯობს, თუ მათ მთავარ გმირებს ვუწოდებთ, – უკვე ნელ-ნელა ქრებიან (...).

მჯერა, რომ „ხსოვნის კრებული“ ერთ-ერთი მსახურებაა, რაც ახალგაზრდა ჩინელ კათოლიკებს შეუძლიათ გასწიონ ჩვენი ერისა და საყოველთაო ეკლესიის წინაშე. ვითვალისწინებ იმასაც, რომ ეს წიგნი, პირველი ამ ჟანრში, მხოლოდ ჩვენს ხელთ არსებული მოწმეობების ფრაგმენტებს გააწვდის.

როგორც პონკონგის ეპისკოპოსი, განსაკუთრებულად მოვალედ მივიჩნევ თავს, რომ მივუთითო იმ ურთიერთობაზე, რაც ზოგიერთ გმირს და პონკონგის ეკლესიას აქვს.

მამა ანდრია ტან ტიანდემ ოცდაათი წელი გაატარა იძულებით შრომაში, უმკაცრეს სიცივეში (-40°C), შიმშილსა და დევნაში. პონკონგის კათოლიკები მას კარგად იცნობენ და აფასებენ, მრავალი მის მოსახასულებლადაც ჩადის ქ. კანტონის ახლოს. ჩვენი მორწმუნები ერთგულად იზრდებიან მისი სიმტკიცით და სულიერი სიმშვიდით, რაც ასე ნათლად ჩანას კიდევ მისი დღიურიდან (...).

მამა იოანე პუანგი, პონკონგის დიოცეზის მდვდელი იყო (...). მან საშინელი ოცდახუთი წელი გაატარა ჩრდილოეთ ჩინეთის იძულებითი შრომის კოლონიაში, გამყინვარებაში. გარდა იმისა, რომ ის მდვდელი იყო, მისი დანაშაული ისიც იყო, რომ მცირე მიწათმფლობელის შვილი იყო. კულტურული რეკოლეციის დროს, ფაბრიკა, სადაც იგი იძულებით გადააგზავნეს, ჯოჯოხეთად იქცა. ათასზე მეტი სასოსწარკვეთიდი პატიმარი თვითმკვლელობით ამთავრებდა სიცოცხლეს (...).

„სიკვდილის მარში“-ს – „უსაშინლესი “ჯვრის გზის” – მთავარი გმირები მონასტრის „ჩვენი მანუგაშებელი დედოფლის“ ბერ-მონაზონი არიან. მონასტერი პეტერი მდებარეობს, პეტიონიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით ას კილომეტრზე. პონკონგში, ლანტაუს კუნძულზე, საბერინიეროდ ახლაც არიან სხვა ბერები, რომლებიც ისევ და ისევ პეტერი მდებარე „ლიესეს ჩვენი დედოფლის“ მონასტრიდან არიან, ისინიც დევნის მსხვერპლი იყვნენ. მონასტრის ბერების მოწმეობა ცოცხლად ინახავს იმ დაუნდობლობის ხსოვნას, რაც კომუნისტებმა ჩაიდინეს კათოლიკური საკრებულოს წინააღმდეგ.

გამომცემელმა მთხოვა, რომ „შესავალში“ ჩემი პერსონალური დამოწმებაც დამემატებინა. მე შანხაიში დავიბადე, მაგრამ 1948 წლის შობაზე ქალაქი დავტოვე, სანამ კომუნისტური პარტიის ბალაუფლება დამყარდებოდა, რადგანაც სალეზიელთა ნოვიციატი, რომელსაც მე ვეკუთვნოდი, პონკონგში იმყოფებოდა. დმერთს ვმადლობ, რომ პირადად არ გავხდი რეჟიმის უშუალო მსხვერპლი, მაგრამ კარგად ვიცნობ იმ ტანჯვას, რაც ჩემი მშობლიური ქალაქის ეკლესიაშ გადაიტა.

ყველაზე გულისშემძლელი ეპიზოდი 1955 წლის 8 დეკემბერს მოხდა, როდესაც პოლიციის უზარმაზარმა არმიამ ასობით კათოლიკები დააპატიმრა: ეპისკოპოსები და მდვდები, მორწმუნე კატეხისტები,

კერძოდ, მარიამის ლეგიონიდან; ყველა ესენი ძალლების მოედანზე შეჰყარეს, სადაც გმირული სულის ეპისკოპოსმა ეგნატე პონგ პინეიმ, რომელსაც ჯერ კიდევ პატიმრობაში მიენიჭა კარდინალის ხარისხი, რწმენის უარყოფის ნაცვლად, მდელგარე მორწმუნეთა და მოძალადეთა წინაშე წამოიძახა: გაუმარჯოს ქრისტე მეფე! გაუმარჯოს პაპს!

შანხაის ეკლესიას ათობით რწმენის აღმსარებელი ახსოვს: მღვდლები, სასულიერო და საერო პირები, ტყვეობაში დაფუძულნი, გაუსაძლისი პირობებისა და შიმშილის გამო. შანხაის მღვდლებს შორის მრავალი იეზუიტი გახდდათ, ეს აისხებოდა ამ ქალაქში იეზუიტების ხანგრძლივი უოფნით. ამჟამინდელი ორი საეპარქიო ეპისკოპოსიც იეზუიტია.

იყო ერთი ოჯახი, გვარად უუ, რომელსაც ახლოს იცნობდნენ შანხაელი კათოლიკები, მათმა ისტორიაში მრავალი ადამიანის გული შეძრა. დედა მარტინეს, ქვრივს, რვა შვილი ჰყავდა, მათგან ოთხი იეზუიტი გახდა, გარდა მიქელესი, რომელიც მაშინ რომში იმყოფებოდა გენერალურ კურიაში; ყველა ძმა 8 სექტემბერს დააპატიმრეს, უფროსი ფრანცისკე კი უკვე ორი წელი იძულებით სამუშაოებზე იმყოფებოდა. დედა მარტინე, რომელსაც შანხაელი კათოლიკები „მგლოვიარეს“ ეძახდნენ, სამი წლის მანძილზე დადიოდა სხვადასხვა ადგილზე დატყვევებული შვილების სანახავად, ფეხით გადიოდა კილომეტრებს, რათა უკანასკნელი ხურდა დაეზოგა და რამე მიეტანა მათთვის. მცველები მას დასცინოდნენ, მაგრამ იგი თავის შვილებს ამხნევებდა, რომ მედგრად ყოფილიყვნენ და ტანჯვა აეტანათ დმრთის რწმენის გამო. ბოლოს მისი შვილები შორს გადააგზავნეს, იძულებით კატორდაში. ოც წელზე მეტხანს აღარ ენახა დედას შვილები. ისინი მხოლოდ 80-იანი წლების დასაწყისში გაათავისუფლეს; ფრანცისკე კი 1983 წელს გარდაიცვალა საპატიმროში.

მნიშვნელოვანი ფიგურა გახდათ იეზუიტი მამა ბედა შანგი, შანხაიში პატივსაცემი პიროვნება, ერთ-ერთი პირველი დაპატიმრებული. მთავრობა იმედს იტოვებდა, რომ დაარწმუნებდა მას, განდგომოდა ეკლესის და პაპს. მან ყველანაირი ზეწოლა განიცადა, და როდესაც მის ურყევ რწმენას ვერაფერი მოუხერხეს, წამებასა და ძალადობაზე გადავიდნენ. ციხეში მისი საქნის მეზობელ პატიმრებს ხშირად ესმოდათ იესოს, მარიამისა და იოსების სახელები, შემდეგ კი მისი კვნესა. 94 დღიანი პატიმრობის შემდეგ მამა ბედა მოკვდა. ის შანხაის ეკლესიის პირველი მარტვილი იყო. რამდენი მოგონება მაქვს ჩემს თანამომე სალეზიელებზე! უცხოელები ყველა გაყარეს, თუმცა სრულებით არ წარმოადგენდნენ „ხალხის მტრებს“, თავმდაბალნი და ერთგულნი იყვნენ თავიანთი მისიისა. და რამდენი უდანაშაულო ჩინელი თანამომე გაუყენეს ცხვრებივით გზას ყასაბთან, ხანგრძლივ და საშინელ ტყვეობაში!

ზოგჯერ მეკითხებიან: ისევ დევნიან ჩინეთში ეკლესიას? ადვილი როდია ამაზე მოკლე პასუხის გაცემა, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ვითარება ძალზე როგორია. კომუნისტები ჯერ კიდევ ხელისუფლებაში არიან. მართალია, მათ რადიკალურად უარყვეს მაოზმი, მაგრამ არასოდეს მოუნანიებიათ მორწმუნებისა და სხვა მრავალი უდანაშაულო ჩინელების მიმართ ჩადენილი დანაშაული. პოლიტიკური კუთხით,

ქრისტიანთა დევნა ჯერ კიდევ ძალაშია: ერთპარტიული სისტემა, რომელიც აგერ უკვე სამოცდათი წელია ბატონობს, ყოველგვარი მანდატისა და დემოკრატიის გარეშე.

თუკი დღეს აღარ შეიმჩნევა მაოისტური პერიოდისთვის დამახასიათებელი სისტემატიური და ფართო დევნა, ეკლესიის ტანჯვა მაინც არ დასრულებულა. საკრებულო და ოფიციალურად „ლია“, ანუ მთავრობისაგან აღიარებული ეკლესიის ეპისკოპოსები მუდმივი კონტროლის ქვეშ არიან. ეკლესია და მისი წინამდლოლები სრულებით არ არიან თავისუფალნი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. რაც შეეხება საკრებულოებს, რომელთაც „კლანდესტინებს“ ანუ „იატაკეშელებს“ უწოდებენ, – მათ, რომლებიც უარყოფენ დაემორჩილონ მთავრობის რელიგურ პოლიტიკას, – დიდ ზეწოლას განიცდიან, ასე რომ, გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ დევნა გრძელდება.

უნდა ვაღიარო, რომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ათობით ეპისკოპოსი, საერო და სამღვდელო პირია დაკავებული, შინაურ თუ ციხის პატიმრობაში. უკვე ადარაფერი გვხმენია ექვს ეპისკოპოსზე. აქვე მინდა აღვნიშნო ეპისკოპოსი ჯაკომო შუ ციმინი, რომელიც ათი წელია უგზო-უკვლიდ გაქრა. 9 წელია არაფერი ისმის მის თანაშემწეზეც, ფრანცისკე შუხინზე (...).

მეც, როგორც ამ წიგნის ერთ-ერთი პერსონაჟი, ვკითხულობ, თუ რატომ არის ამდენი ტანჯვა და ძალადობა. ჩვენი რწმენა, რომელიც, ერთი შეხედვით, უშუალო პასუხს არ იძლევა, ერთადერთ გზად რჩება, ჩვენი იმედისა და ძალის დასაცავად (...). დიახ, სწორედ ასეა: უამრავი ეპისკოპოსი, მღვდელი და მორწმუნე, რომელიც ჩინეთში ყოფნისას შემხვდნენ, მიუხედავად თავს დამტყდარი უბედურებისა, ყველანი მშვიდნი და ბედნიერები იყვნენ. ვერაგინ წაგვართმევს იქსოს მიმდევრებად ყოფნის სიხარულსა და მშვენიერებას!

კარდინალი იოსებ ძენ ძე კუინი

პონკონგი  
2006 წლის 27 აგვისტო, 2006

კათოლიკე ეკლესია საქართველოში

## უწერია თუ არა 16 წლის ოცნებას ასრულება?!

სავარაუდოა, რომ მთელმა საქართველომ იცის მითვისებული კათოლიკური ეკლესიების და, მათ შორის, ივლიტის ეკლესიის შესახებ. ილიტის ეკლესიაზე მრავალჯერ ითქვა პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით.

ივლიტის ეკლესია ისტორიული წყაროების მიხედვით 1298 წელს აუშენებიათ და მოიხსენიებოდა, როგორც წმიდა ჯვრის სახელობისა. საუკუნეების განმავლობაში ეკლესიამ მრავალჯერ განიცადა ნგრევა. საბოლოოდ აღდგენილ იქნა 1782 წელს და დღეს ღმრთისმშობლის

სახელობისაა. 1991 წლამდე სოფელ ივლიტის კათოლიკური ეკლესია სოფლის კათოლიკე მრევლს ეუთვნოდა. ბოლო წლებში მასში, მამა იოსების მიერ, ლათინური წესის წირვა-ლოცვაც ადესრულებოდა. რაღგანაც მამა იოსებმა ქართველი არ იცოდა, სოფლის მოსახლეობამ სოფლის კრებაზე (ესწრებოდა 60 კაცი) გადაწყვეტილება მიიღო, მეზობელი ეპარქიიდან დროებით მოეწვია ქართველი მართლმადიდებელი მდვდელი, რომელიც იქამდე დარჩებოდა, სანამ ივლიტში ქართველი კათოლიკე მდვდელი მოვიდოდა. ამ პირობაზე თანახმა იყო ეპარქიის ეპისკოპოსიც, რომელიც დაგვპირდა, რომ ქართველი კათოლიკე მდვდლის მოსვლისთანავე თავის მდვდელს უკან გაიწვედა, მაგრამ ასე არ მოხდა. დაპირება დაპირებად დარჩა და დღემდე ამის გამო დიდი პრობლემები გვაქვს როგორც კათოლიკე, ასევე, მართლმადიდებელ მრევლსაც. პირველ წლებში მამა იოანე მოტყუებით გვიტარებდა ვითომ კათოლიკური წესის წირვებს: ქრისტეს შობას 25 დეკემბერს თითქოს ჩვენთვის ლოცულობდა, სინამდვილეში კი – კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებას ავედრებდა დმერთს. ასე იყო ბზობის, აღდგომისა და სხვა დღესასწაულები. შემდეგ მან თანდათან დაიწყო ეკლესიის გადაკეთება და ყოველგვარი კათოლიკური ნიშნების განადგურება. ეკლესიიდან გაქრა ფრანგი მისიონერის საფლავი, ტაძრის კედლებიდან ამოამტვრიეს ჯვრები, კათოლიკური საკურთხეველი შეცვალა მართლმადიდებლურმა კანკელმა. გამოხდა ხანი, დმერთმა ჩვენი ვედრება შეისმინა და ჭეშმარიტი ქართველი კათოლიკე მდვდელი გამოგვიგზავნა მამა ზურაბ კაკაჩაშვილის სახით. უკვე სამი წელია მამა ზურაბი ჩვენთან ერთად განიცდის ჩვენს პრობლემებს და ბინიდან-ბინაში მონაცევლეობით ვატარებო წმიდა წირვებს. ჩვენს ეკლესიაში კი – კვლავ მართლმადიდებელი მდვდელი ატარებს წირვებს, მაშინ, როცა, სოფელში მას თითქე ჩამოსათვლელი მრევლი ჰყავს და იმისათვის, რომ ეკლესიის შენობა შეავსოს, საგანგებოდ ახალციხიდან ჩამოყავს მორწმუნები. ივლიტებმა კათოლიკებმა მივმართეთ თხოვნითა თუ მოთხოვნით ყველა შესაძლო ინსტანციას, ვისაც კი ხელეწიფებოდა ამ პრობლემის გადაწყვეტა, მაგრამ ყოველგვარი მცდელობა დღემდე უშედეგო აღმოჩნდა. 2000 წელს მცდელობა გაქონდა კვლავ მოგვეწვია კრება და ხმათა უმრავლესობით გადაგვეწყვიტა ეკლესიის საკითხი, მაგრამ კრებაზე აღმოჩნდება სრულიად უცხო ადამიანები და ჩაშალეს იგი. გადაწყვიტეთ, რომ კვლავ მოგვეწვია სოფლის კრება და ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაგვეჭრა. მიმდინარე წლის 3 მარტს გაიმართა სოფლის კრება, რომელსაც ოფიციალური სახე მივეცით. მასზე დასასწრებად თბილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ სამოციქულო აღმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპ პაზოტო, სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მთავარი ექსპერტი, ბექა მინდიაშვილი, თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელი გიორგი მელაქე, ახალციხის გამგებელი მინდია დევნოსაძე, ახალციხის საკრებულოს დეპუტატი გვარექ ექნორიანი, ივლიტის კათოლიკე მრევლის მოძღვარი ზურაბ კაკაჩაშვილი, მართლმადიდებელი მრევლის მოძღვარი მამა იოანე (გელაშვილი). გულდასაწყვეტია, რომ მოსვლა ვერ მოახერხა

ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქიის მმართველმა, მთავარეპისკოპოსმა თევდორემ (ჭუაძე). რამდენიმე სატელევიზიო არხი – „რუსთავი 2“, „იმედი“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლობა“ იღებდა ივლიტაში მიმდინარე მოვლენებს, ასევე, მას თვალს აღევნებდა გაზეთ „სამხრეთ კარიბჭის“ კორესპონდენტი.

კრების დაწყებისას მამა იოანემ განაცხადა, რომ მან თავისი მრევლის წევრებს აქ მოსვლა არ ურჩია იმის გამო, რომ უსიამოვნებებისათვის აერიდებინა. მან წაიკითხა 2002 წლის მართლმადიდებელი ეკლესიის დადგენილება და ორ თანმხლებელ მღვდელთან ერთად დატოვა დარბაზი. ეს ფაქტი ბოიკოტის გამოცხადებას ნიშნავდა, რამაც სოფლის მოსახლეობა ადაშფოთა.

კრება, მართალია, როგორ და დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ მაინც მშვიდობიანად და დემოკრატიულად ჩატარდა.

მოწვეულ სტუმართაგან სიტყვით გამოვიდა ბექა მინდიაშვილი. მან აღნიშნა, რომ ის იცნობს ყველა პრობლემას, რაც ივლიტის ეკლესიასთანაა დაკავშირებული, მრავალჯერ ჩამოსულა ივლიტაში, რათა ადგილზე მიადევნოს თვალი ამ საკითხს და, ახლაც, სოფლის კრებაზე სწორედ ამ მიზეზით იმყოფება. მისი სიტყვებით, მას გულწრფელად სურს ამ საკითხის სამართლიანად და დემოკრატიული გზით მოგვარება.

ფარულ კენჭისეურაზე 79-მა კაცმა გამოხატა თავისი პოზიცია, ორი ბიულეტენი ბათილად ცნეს. მათ შორის 77-მა კაცმა გამოთქვა თავისი აზრი, რომ ივლიტის ეკლესია კათოლიკურია და დმრთისმსახურებაც, შესაბამისად, კათოლიკურად უნდა შესრულდეს. ფაქტიურად ამ კრების შედეგმა გააუქმა იმ კრების გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ივლიტის ეკლესიაში დროებით უნდა ემსახურა საქართველოს საპატიოარქოს წარმომადგენელ მღვდელს.

დასრულდა მძიმე და ემოციებით აღსავსე კიდევ ერთი ტკივილიანი დღე, კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ ივლიტის ეკლესია კათოლიკურია, რომ სოფლის მოსახლეობის 70% კათოლიკეა, მაგრამ ნიშნავს კი ეს რამეს საქართველოს საპატიოარქოსათვის? იქ ხომ ყველა იმ ფაქტზე ხუჭავენ თვალს, რაც ივლიტის ეკლესიას შეეხება?

მართალია, ჯერჯერობით არაფერი გადაწყვეტილა, მაგრამ ჩვენ მაინც კმაყოფილები ვართ, რადგან ჩვენი მუდმივი გათიშულობის პირობებში სოფლმა მაინც მოახერხა ერთ მუშტად შეკვრა და კიდევ ერთხელ გამოხატა საკუთარი ნება.

როდესაც ამ სტატიის ერთ-ერთი ავტორი კრების შემდეგ სახლში დაბრუნდა, საკუთარ სალოცავ კუთხესთან მივიღდა და აღმოხდა: რა ერქვა უფალო დღევანდელ დღეს? ანაზდეულად გადაშლილ სახარებაში ეწერა: „პირველი სასწაული კანაში“. უცებ, მთელი დღის დაძაბულობა და ტკივილი გაქრა და გაჩნდა ფიქრი: ვინ იცის, იქნებ დღევანდელი კრება იყო სწორედ ის პირველი სასწაული ივლიტის ეკლესიის დაბრუნების გზაზე?

უახლოეს ხანებში, ალბათ, კათოლიკთა და მართლმადიდებელთა ერთობლივი კომისია გაარკვევს ჩვენი ეკლესიის საკითხს და, ვიმედოვნებთ, რომ სამართალი გაიმარჯვებს. იმედია, მალე საშუალება

გვექნება წირვა-ლოცვა საკუთარ ეპლესიაში აღვავლინოთ, მანამდე კი „საბას“ მკითხველებს ვთხოვთ, ილოცონ ივლიტის ეკლესიის დაბრუნებისათვის იმ ლოცვით, რომლითაც ყოველდღე ლოცულობდა წმ. პატრი პიო მათზე, ვინც მას რაიმე თხოვნით მიმართავდა. ამ ლოცვის აღვლენით ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში დაფიქსირებულ იქნა უამრავი სასწაული. ეხლა კი ზეციდან გვშეამდგომლობს როგორც წმიდანი და ელოდება შენი გულიდან რწმენით აღვლენილ ვერდებას.

### **იესოს უწმიდესი გულის გვირგვინი**

1. ჩემო იესო, შენ თქვი: „ჰეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ითხოვეთ და მოგეცემათ, ეძებეთ და იპოვით, დააკაკუნეთ და გაგეღებათ“, შეისმინე ჩემი, როცა ვაკაკუნებ, როცა ვეძებ, როცა ვითხოვ (დაასახელე თხოვნა) მადლს („მამაო ჩვენო“, „გიხაროდებ“, „დიდება მამასა“).

იესოს ტკბილო გულო, შენზე ვამყარებ იმედს.

2. ჩემო იესო, შენ თქვი: „ჰეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც არ უნდა სთხოვოთ მამას ჩემი სახელით, მოგცემთ“, შეისმინე ჩემი, რამეთუ შენი სახელით ვთხოვ მამას (დაასახელე თხოვნა) მადლს („მამაო ჩვენო“, „გიხაროდები“, „დიდება მამასა“)

იესოს ტკბილო გულო, შენზე ვამყარებ იმედს.

3. ჩემო იესო, შენ თქვი: „ჰეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ცა და დედამიწა გადაივლის, მაგრამ ჩემი სიტყვა არ გადაივლის“, შეისმინე ჩემი, რამეთუ შენი სიტყვებით გამხნევებული გთხოვ (დაასახელე თხოვნა) მადლს („მამაო ჩვენო“, „გიხაროდები“, „დიდება მამასა“).

იესოს ტკბილო გულო, შენზე ვამყარებ იმედს.

იესოს ტკბილო გულო, შენთვის მხოლოდ ერთია შეუძლებელი, რომ არ შეიწყალო გაჭირვებულნი; შეგვიწყალე ჩვენ, საცოდავი ცოდვილები და მოგვანიჭე მადლი, რომელსაც გთხოვთ მგლოვიარე და უბიწო ქალწული მარიამის გულის მეშვეობით, შენი და ჩვენი მგრძნობიარე დედის მეშვეობით. ამენ.

„გიხაროდენ დედუფალო...“

წმიდაო პატრი პიო, სასწაულთმოქმედებებით სახელგანთქმულო, ილოცე ჩვენთვის.

**ლელა მამუბაშვილი  
ციალა გოზალიშვილი  
ივლიტა**

## “საბას” კორესპონდენტთა სემინარი წეროვანში

17 მარტს წეროვანში ჩატარდა უურნალ „საბას” კორესპონდენტთა რიგით მეოთხე სემინარი. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ „საბას” სარედაქციო საბჭოს წევრები, კორესპონდენტები საკრებულოებიდან და მოწვეული სტუმარი – ცნობილი უურნალისტი, მწერალი და გამომცემელი პაატა ნაცვლიშვილი.

სემინარი გახსნა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ, რომელმაც მოკლე შესავალ სიტყვაში მიმოიხილა საქართველოს კათოლიკეთა პირველი სინოდის ის მოთხოვნები და ამოცანები, რომელიც დაუსვა სინოდმა უურნალ „საბას”. მან კორესპონდენტებს განუმარტა, თუ როგორ უნდა წარმართონ უურნალისტური საქმიანობა სინოდის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

შემდგომ კორესპონდენტებმა მოკლე ინფორმაციები წარმოადგინეს მათ რეგიონებში ადგილობრივი პრესისა და ტელევიზიების მიერ კათოლიკური ეკლესიის შესახებ გაშუქებული მასალების ობიექტურობის შესახებ. აღმოჩნდა, რომ გასულ წელს მინიმუმამდე შემცირდა ადგილობრივ მედიაში ანტიკათოლიკური მასალების გამოქვეყნება, თუმცა, სამწუხაროდ, ცალკეული ფუნდამენტალისტურად განწყობილი არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ გაავრცელონ არატოლერანტული, არაეთიკური ხასიათის გამოცემები და ამით თესავენ რელიგიურ და ეთნიკურ შეუწყისარებლობას ადგილობრივ მოსახლეობაში. თუმცა ამგვარი კანონსაწინააღმდეგო და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები სულ უფრო ნაკლებეფუქტურია მოსახლეობის ტოლერანტულობის ზრდისა და ინფირმაციული ვაკუუმის შემცირების ფონზე. მსგავსი ხასიათის ქმედებებს ადგილი ჰქონდა ახალციხისა და ადგიგენის რაიონების სოფლებში, კერძოდ, ივლიტაში, უდესა და არალში. იყო არატოლერანტული ქმედებები ჭიათურაშიც. სამაგიეროდ, ბათუმში ტოლერანტობის კუთხით ვითარება შესაშური პოზიტიურობით ხასიათდება და ამ დადებითი ქვების საწყისს ბათუმის საკრებულოს წარმოადგენელი თენგიზ პარმაქსიზმიშვილი სხვა კონფესიის წარმოადგენელთან კეთილმოსურნე ურთიერთობითა და რელიგიური კუთხით მოსახლეობის საერთო ინფორმირებულობის ზრდით ხსნის.

განხილულ იქნა უურნალ „საბას” ბოლო ნომრებიც. „გთხოვთ, ისაუბროთ გულახდილად ჩვენი უურნალის დადებით და, განსაკუთრებით, უარყოფით მხარეებზე, თუმცა სარედაქციო საბჭოს წევრებზე უკეთ არავინ იცის, რა და რატომ არის უარყოფითი, მაგრამ თქვენი ობიექტური შეფასება სასიკეთოდ წაადგება „საბასაც” და თავად თქვენს პროფესიულ ზრდასაც”, – ასე მიმართა კორესპონდენტებს განხილვის წინ სარედაქციო საბჭოს წევრმა ნუგზარ ბარდაველიძემ და, მართლაც, ობიექტური სჯა-ბაასი გაიმართა უურნალის მხატვრული თუ ტექნიკური მხარეების შესახებ.

მცირე შესვენების შემდგომ სემინარის მონაწილეთა წინაშე წარსდგა პაატა ნაცვლიშვილი. მისი მოხსენება შეეხებოდა უურნალისტიკის

საფუძვლებსაც, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ ის ექსკლუზიური ინფორმაცია, რომელიც ბატონმა პაატამ მისი ახალი გამოკვლევის შესახებ გააცნო დამსწრეთ. ეს კვლევა სულხან -საბა ორბელიანის მრავალმხრივი მოღვაწეობის ჯერ აქამდე შეუსწავლელ სფეროს შეეხება და ორმხრივად საინტერესო იყო უურნალ „საბას“ კორესპონდენტებისათვის. სულხან-საბა ორბელიანი წარმოდგა, როგორც პირველი ქართველი მოღვაწე, ვინც უურნალიზმის მესაფუძვლები გვავლინება. რომ არა სამშობლოში დაბრუნების შემდგომ დატრიალებული ნებატიური მოვლენები, ადვილი შესაძლებელია, პირველი ქართველი ლექსიკოლოგი პირველი ქართული გაზეთის შემქმნელიც ყოფილიყო.

პაატა ნაცვლიშვილის წიგნს სულხან-საბასა და ქართულ-იტალიური პრესის ურთიერთობის ისტორიის შესახებ მიმდინარე წლის ბოლოსთვის იხილავს მკითხველი. ხოლო უურნალი „საბა“, ალბათ, მოგვცემს საშუალებას, უფრო დეტალურად გავეცნოთ დიდი ქართველი მოაზროვნისადმი მიძღვნილ წიგნს.

სემინარის ბოლოს მამა გაბრიელემ კორესპონდენტებს მომავალი სემინარისათვის დავალება მისცა: ვატიკანის მეორე კრების იმ მასალების გაცნობა და დამუშავება, სადაც მასმედიაზეა უურადღება გამახვილებული. მამა გაბრიელემ, აგრეთვე, სთხოვა საკრებულოების კორესპონდენტებს, უფრო აქტიურად ითანამშრომლონ საკრებულოების წინამძღვრებთან, გააცნონ მათ საკრებულოს შესახებ მომზადებული ინფორმაციები, უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ მკითხველთან და „საბას“ სარადაქციო საბჭოსთან.

მომავალი სემინარი ივნისის ბოლოს ჩატარდება, თუმცა ჩატარების ადგილი ჯერ არ არის გადაწყვეტილი. ნუგზარ ბარდაველიძე შემოვიდა წინადადებით, რომ სასურველი იქნებოდა, მომავალი სემინარი ახალციხეში ჩატარებულიყო – ადგილობრივი ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ეს წინადადება, ცხადია, არაა ძნელი ადსასრულებელი, ოღონდ თუ „საბას“ მესხეთის რეგიონის კორესპონდენტები თავიანთ მონდომებასა და ძალისმევას არ დაიშურებენ. ფაქტია, უურნალ „საბას“ გამსვლელი სემინარები ბევრად ქმედით როლს შეასრულებს, თუ მორიგეობით, სხვადასხვა რეგიონსა თუ ქალაქში შედგება შეხვედრები, როგორც მკითხველთან, ასევე ადგილობრივ კოლეგებთან. აუცილებელია, ასევე, უურნალ „დიალოგის“ უკანასკნელი ორი ნომრის პრეზენტაციის ჩატარებაც, რათა ფართო საზოგადოებისათვის უფრო ცნობილი გახდეს ეს მართლაც საყურადღებო და აქტიურური გამოცემა, რომელიც, სამწუხაროდ, ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის დიალოგისათვის. მომავალი შეხვედრისათვის „საბას“ კორესპონდენტებს კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი ელოდებათ: მათ გადაეცემათ უურნალის კორესპონდენტობის დამადასტურებელი საბუთი. მათ, ვისაც ჯერ კიდევ არ წარმოუდგენია საკუთარი ფოტოსურათი, სასწრაფოდ უნდა დაუკავშირდნენ რედაქციას, თორემ მომავალ სემინარზე კორესპონდენტის დამადასტურებელი საბუთის გარეშე მოუწევთ დასწრება.

დასრულდა სემინარის საინტერესო, შინაარსიანი და ნაყოფიერი სამუშაო დღე. მიუხედავად იმისა, რომ წეროვანში ცივი, ქარიანი და მოღრუბლული ამინდი იყო, გულთბილი შეხვედრისა და ახალი ნაცნობობით გამდიდრებულ „საბელებს“ ეძნელებოდათ ერთმანეთთან განშორება და სულიერებისა და კულტურის ცენტრის ეზოში კიდევ დიდხანს უზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს.

მანანა ბაქრაძე  
ნინო ტურაბელიძე  
პეტრე ავეტისიანი

პოეზიის სკოლი

## მომმადლე სული ჭეშმარიტი მსახურებისა

ო, ღმერთო ჩემო, კეთილო და მოსიყვარულებ,  
დაე, შენმა საყვარელმა ძემ, მომმადლოს ძალა,  
აღმავსოს შენი გულმოწყალებით  
და მაზიაროს შენს შთაგონებას.

რათა შემეძლოს ონავუგრძნო ტანჯულს,  
ხელი გაფუწოდო გაჭირვებულს,  
ვანუგეშო უბედური,  
შევიფარო მიუსაფარი,  
შვება მოვგვარო გულნატკენს,  
გვერდზე დავუდგე ჩაგრულს,  
გავამხნევო უპოვარი,  
ცრემლი შევუშრო მტირალს,  
ვალი შევუნდო მოვალეებს,  
მიგუტევო შეურაცხმუფელს,  
შევიყვარო ჩემი მოძულება,  
სიკეთით ვუზდა ბოროტება,  
არავინ მძულდეს,  
პატივი ვცე დიდს და პატარას.  
მივბამო კეთილს, მოვერიდო ავსა და ბოროტს,,  
აღვივსო სათხოებით და განვერიდო მანკიერებას.  
მომეც, უფალო, მოთმინება ძნელბედობისას,  
ზომიერება კეთილდღეობისას.  
მომაზომინე ჩემი სიტყვები,  
მომათოკინე ჩემივე ენა.

და ამასაც გთხოვ, ჩემო ღმერთო:  
ნუ შემაყვარებ ამქანენიურ ამაოებას  
და მიმასწრაფე ზეციური საუნჯისაკენ.

## **Dammi uno spirito di vero servizio**

Mio Dio, sei tenerissimo con me,  
per il tuo Figlio prediletto ti prego  
di lasciarmi inondare dalla tua misericordia  
e prendere gusto nelle tua ispirazioni.

Che sappia compatire coloro che soffrono,  
porti soccorso a coloro che soffrono  
e sono nel bisogno,  
che conforti gli infelici,  
che offra asilo a coloro che ne mancano,  
che consoli gli affitti,  
che incoraggi gli oppressi,  
che dia gioia ai poveri,  
che sostenga coloro che piangono,  
che rimetta i debiti ai miei debitori,  
che perdoni chi mi ha offeso,  
che ami coloro che mi odiano,  
che renda sempre bene per male,  
che non disprezzi mai nessuno,  
ma al contrario onori tutti gli uomini,  
che imiti i buoni  
e mi allontani dalla compagnia dei malvagi,  
che pratichi tutte le virtù  
ed evitti i vizi.

Dammi, Signore, la pazienza, nell'avversità,  
la moderazione nella prosperità.  
mettendo, quando è necess,  
una custodia alla mia bocca.

Infine dammi, mio Dio, il disprezzo  
delle cose mondane  
e la sete dei beni celesti.

დონ მარიო გატი  
ქ. ნეგრარი (ვერონა)

სოციალური პრობლემები

## **ქალთა ტრეფიკინგი დღევანდელ მსოფლიოში**

უცნაურია ის, რომ ფემინიზმის ტრიუმფულ ხანაში იძულებულნი ვართ ქალთა მონობის ახალ ფორმებზე ვისაუბროთ, ანტიკურზე უფრო დამამცირებელ და მტკიცნეულ ფორმაზე. და მაინც, მნელია გაჩუმდე

“ქალთა ტრეფიკინგის” პრობლემის წინაშე, რომელიც დღეგანდელი მონობის ერთ-ერთი ფორმაა. სამწუხაროდ, ამ საჭირობოროტო პრობლემას დღეს დუმილის მძიმე ფენა ადევს, რადგან მასზე საუბარი არაფრად უდირს არც იმ სახელმწიფოებს, რომლებისთვისაც “სექსუალური ტურიზმი” ქვეყნის ბიუჯეტის პირველად შემოსვლად ქცეულა, არც იმათ, ქალთა ტრეფიკინგს “უცხოური გასართობისა და დასვენების”, სამხედრო ბაზების ცენტრების რესურსად მოიხმარენ, მით უფრო ნაკლებ აინტერესებს იგი ტრეფიკინგის მესვეურებს, ხშირად პოლიციასთან “შეკრულებს”, რომლებიც ამ ქალებისგან კომერციულად უფრო მეტ მოგებას ნახულობენ, ვიდრე ნარკოტიკებისაგან.

ამგვარი მოტივით ძალზე რთულია ზუსტი მონაცემების მოპოვება ამ ფართო ფენომენზე. უნდა ითქვას, რომ დღევანდელ მსოფლიოში აზია ქალთა ტრეფიკინგის ეპიცენტრია. აზიურ ქვეყნებში ტრეფიკინგის ფენომენი გასაგები გახდება, თუკი მას შევხედავთ იმ დამამცირებელ მანიფესტირებად, რომელშიც დღეს ქალები იმყოფებიან. დისკრიმინაციორთა არჩევანი განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგიერთ ქვეყანაში ბიჭუნას დაბადებას წყალობად უყურებენ, ხოლო გოგონასას – წყევლად, ამ მიზეზით გოგონები იღუპებიან აბორტით ან ინფანტიციდით. სხვაგან, დემოგრაფიის დასამუხრუჭებლად, მშობლებს აიძულებენ იყოლიონ ერთი შვილი, და ისიც უმჯობესია თუ მამაკაცი იქნება: გოგონა კი დაბადებისთანავე მოკლან. ზოგ ქვეყანაში სამედიცინო მკურნალობა, მხოლოდ მამარობითი სქესის უპირატესობაა. ზოგან გოგონებს თავად მშობლები ყიდიან ვალების გადახდის მიზნით, ან მდიდრების მსახურებად აყენებენ ან ოჯახის სარჩენად, უმნიშვნელო მოგების სანაცვლოდ, სექსუალურ ექსპლუატაციაში აბამენ. აზიის ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ასეთი ფენომენი “მზითევის გამო დაღუპულები”, როდესაც პატარძლებს სასიკვდილოდ სწირავენ, თუკი მათ მამებმა სასიმოებს დაპირებული თანხა არ გადაუხდეს, და ბოლოს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OMS) მონაცემებით, ყოველდღე 6.000 გოგონა იძულებით ხდება სქესობრივი მუტილაციის (დამახინჯების) ობიექტი. ყოველივე ამით დაკავებულია სხვადასხვა ქვეყნის მაფიები, რომლებიც ქმნიან საერთაშორისო ქსელებს. მათ ყველგან აქვთ გაბმული ძაფები და, არცოუ იშვიათად, მყარ მოკავშირეებს პოლიციისა და დამსჯელი ორგანოების სახით პოულობენ.

გაერო-ს მიერ მოწოდებული ციფრებით, უკანასკნელ ათწლეულებში, მსოფლიოში 20 მილიონი ქალი გახდა ამგვარი “მოპყრობის” ობიექტი, როგორც შრომის ექსპლუატაციის ასევე პროსტიტუციის მიზნებით.

ამ მხრივ ყველაზე აღმაშფოთებელია ინდოეთის მაგალითი. უზარმაზარი ქვეყანა, დაახლოებით მილიარდამდე მაცხოვრებლით, ერთდროულად არის ამ სამარცხვინო საქმის როგორც სატრანზიტო, ასევე საბოლოო დანიშნულების, სამიზნე ადგილი. მათ რიგშია ბირმის, ზიმბაბვეს, კამბოჯის, ტაივანის, ფილიპინების ქვეყნები. როდესაც ტრეფიკინგის მსხვერპლთა რიცხვი მატულობს, შეიძლება გაჩნდეს აზრი, რომ იზრდება ტრეფიკინგის მესვეურთა ძალაუფლება.

ტრეფიკინგმა ხელი შეუწყო სექსუალური ტურიზმის განვითარებას.

ტერმინში – “ქალთა ტრეფიკინგი” – იგულისხმება ადამიანით ვაჭრობა, რომლის პროდუქციას ძირითადად წარმოადგენს ქალი, როგორც ზრდასრული, ასევე ახალგაზრდა და მოზარდი. ამგვარი ვაჭრობა გულისხმობს დაქირავებას, პიროვნებების გადაყვანას და გაყიდვას სექსუალური ექსპლუატაციის მიზნებისათვის, გართობის ადგილებში, სასტუმროებში, სამსედრო ბაზებში, საერთაშორისო ტურიზმის ადგილებში. იყენებენ ყველანაირ საშუალებას მსხვერპლის მოსატყუებლად: მაღალანაზღაურებადი სამსახური, ყალბი ქორწინებები და ცდუნებების სხვადასხვა ფორმები; ანდაც მიმართავენ ძალადობას, მუქარას და ნარკოტიკებს, რითაც ქალებს აიძულებენ დატოვონ საცხოვრებელი ადგილები. მსხვერპლი გადაჰყავთ იმ ადგილებში, სადაც ქალებზე მოთხოვნაა სექსუალური გამოყენების მიზნით.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე აზიური ქვეყნები იმ ადგილებად იქცნენ, სადაც უმთავრესად განვითარდა ქალებით ვაჭრობა. ყველაფერი გასული საუკუნის სამოცდათიანი წლებიდან დაიწყო, როდესაც ძლიერი საერთაშორისო ზეგავლენა განხორციელდა აზიურ ქვეყნებზე, რათა სიღარიბიდან თავის დაღწევის მიზნით ტურიზმის ინდუსტრია გაექცირებინათ, როგორც ყველაზე იოლი და საიმედო გზა. ამ ქვეყნების ბუნების სილამაზე და კულტურულმა სიმდიდრემ ბევრი ევროპელი და ამერიკელი მიზიდა და არც ფულის ნიაღვარმა დააყოვნა, რამაც მთელი აზიური კონტინენტის განვითარების მოტორი შექმნა.

მართალია, ტურიზმის ინდუსტრია სულ მაღე აღორძინდა, მაგრამ განსაკუთრებული ნიშით – “სექსუალური ტურიზმი”, რის გამოც ზოგიერთი აზიური ქვეყანა, მაგალითად ტაილანდი, ეროპელებისა და ამერიკელებისთვის სანუკარ ოცნებად გადაიქცა: სურდათ მიეღოთ ეგზოტიკური სექსუალური გამოცდილება ახალგაზრდა გოგონებთან, მოზარდებთან და ბავშვებთან. ამ ფორმით, სექსუალური ტურიზმი სხვადასხვა ქვეყნის სიმდიდრის უმთავრეს წყაროდ გადაიქცა. სექსუალურ ტურიზმს მხარს უჭერს სახელმწიფო, იგი თვალებს ხუჭავს მიღიონობით ქალისთვის ამ საშიშ ტრაგედიაზე, რომლებიც ეროვნული “წინსვლისთვის” არიან განწირული. ანგარიშობენ, რომ სექსუალური ტურიზმი მხოლოდ ინდონეზიას ყოველწლიურად 1,2-3,6 მილიარდი დოლარის მოგებას აძლევს.

როგორ ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალების “მსახურება”? შრომით კონტრაქტში გათვალისწინებულია “დასვენებისა და გართობის” მომსახურეობა და არდადებები უცხოეთში: ამგვარ კონტრაქტებში შესულია “მსახურება”. ისინი “ემსახურებიან” ბარებში, ზღვისპირა ვილებში, სასტუმროებში, პორნო-კლუბებში: ყველა ის ადგილი, სადაც კი ქალებს შეუძლიათ კლიენტის სექსუალური ფანგაზიები დააკმაყოფილონ. კონტარაქტში წერია, რომ ისინი უნდა მოემსახურონ ბარში, იცეკვონ, მიიღონ და გაართონ ტურისტები. მაგრამ ეს დრამატული სატყუარაა, მაღალი ანაზღაურების დაპირებით. როგორც კი ქალი ტრეფიკინგის მესვეურთა ხელში მოხვდება, იგი ისაკუთრებს მის პასპორტს და პირად საბუთებს, აიძულებს მას დამამცირებელ სექსუალურ სამსახურში

ჩადგომას და ახდევინებს საკონტრაქტო ვალს ტრანსპორტისა და გადაადგილების საბაზით, რაც შეიძლება 3000-დან 30.000 დოლარამდე მერყეობდეს, გააჩნია რომელი ქვეყნიდან არის წამოსული მსხვერპლი. დღეს ზოგიერთ ქვეყნაში ქალების ტრეფიკინგს სოფისტურად უყურებენ და იუნებენ ინტერნეტს, რომ განავითარონ *cyberprostitute* ან “დროებით ოქენე”: კლიენტი თავად კარნახობს ქალს სექსუალური სურვილების განხორციელებას.

კიდევ ერთი “მსახურება” გახლავთ შინამოსამსახურეობა მდიდარ ოჯახებში: ეს ნამდვილი შინა მონობაა, რადგანაც ქალები არა მხოლოდ მძიმე სამუშაოს ასრულებენ, არამედ ისინი თავინთი პატრონების და მამაკაცების სექსუალური მოხმარების საგნებიც არიან. ამ სამწუხარო გამოცდილებას ყველაზე ხშირად შეხვდებით ინდოეთში, ნეპალელ და ბანგლადეშელ ქალებზე. ფაქტის სიმძიმე ის არის, რომ ეს ქალები, განათლების დაბალი დონით, ძირითადად დარიბი ფენიდან და სოფლიდან ჩამოსულები არიან – უსაბუთოდ დარჩენილები და ვერ სარგებლობენ ამ ქვეყნების იურიდიული დაცვით. მათ ისდა დარჩენიათ მხოლოდ ტრეფიკინგის მესვეურებს ენდონ.

მართალია, დღეს უკვე ხმამაღლა საუბრობენ ქალთა უფლებებზე, მაგრამ ეს საჭირბოროტო პრობლემა “ტრეფიკინგის” სახით, მაინც არ არის საკმარისად უურადღებული და გაცნობიერებული. მასზე თითქმის არავინ არ კამათობს. თუმცა, მაშინ, როცა სერიოზულად არ ებრძვიან ნარკოტიკებს, რა იმედია რომ ქალთა ტრეფიკინგს შეებრძოლებიან? საქმე კი ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევას ეხება. სინამდვილეში “ქალთა ტრეფიკინგი” აშკარად არღვევს ადამიანის ღირსებას და სიცოცხლის ფუნდამენტურ უფლებას; არღვევს ჯანმრთელობის, თავისუფლების და პიროვნების თავდაცვის უფლებას. ბავშვების და ახალგაზრდების მიმართ, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლი არიან, ირღვევა აღზრდის უფლება. ცხადია, ამ დარღვევების მიღმა უზარმაზარი ინტერესები იმაღება. ადამიანებით ვაჭრობამ და საზღვარზე უკანონოდ გადაყვანამ დიდ მასშტაბებს მიაღწია. საჭიროა, რომ საერთაშორისო დონეზე შეიქმნას ძირითადი ნორმები სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, რადგანაც ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული დანაშაულებრივი სამყარო. საეჭვოა, რომ დღეს იყოს კეთილი ნება სერიოზულად და ეფექტურად ებრძოლონ “ქალების ტრეფიკინგს”. ამ პრობლემაზე დღეს თავის მოტყუებას და დუმილს ამჯობინებენ.

## წერილი რედაქციას

თქვენი უურნალის მეშვეობით გვინდა მადლობა გადავუხადოთ პოლიკლინიკა „კაცთა მაცხოვარის“ თანამშრომლებს, განსაკუთრებით კი – და კორინას ჩვენზე გაწეული მზრუნველობის გამო. მინდა ცოტა რამ გიამბოთ ჩემი ოჯახის შესახებ: 2002 წელს ინსულტის დიაგნოზით ლოგინად ჩავვარდი და მას შემდეგ ვარ I ჯგუფის ინვალიდი. ოჯახი საკმაოდ გვიან შეგქმნი, ამიტომ მხოლოდ 3 წლის ბავშვი მყავდა.

თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი უმწეო მდგომარეობა: 60 წელს მიღწეული კაცი, და მცირეწლოვანი ბავშვი, მეუღლეც ავადმყოფობდა, მასაც სჭირდება სასწრაფო ოპერაცია, მაგრამ ჩვენი 40 ლარიანი პენსიით, აბა რას გავაწყობდით?

ამ გამოუვალ მდგომარეობაში ღმერთმა და კორინა მოგვივლინა ნამდვილ ანგელოზად და მსხველად. ის გულწრფელად წუხს ჩვენს მდგომარეობაზე და უველანირად გვეხმარება: ანალიზების ასაღებად და სამკურნალოდ ექიმები ჩვენთან, სახლში მოპყავს, თავადვე მოაქვს ძვირადღირებული წამლებიც, ბავშვისთვის საჩუქრებს არ იშურებს. ნამდვილად არ მეგონა, თუ ჩვენს სინამდვილეში, ჩვენს ქალაქში მსგავსი კეთილშობილური ორგანიზაცია არსებებდა, რომელიც უანგაროდ ეხმარება უველა გაჭირვებულს.

მინდა მადლობა ვუძღვნა ღმერთს იმისათვის, რომ და კორინასნაირი ადამიანები კიდევ არსებობენ ჩვენს გვერდით.

#### რ. დარსალია

### მოხალისეობა

(დასასრული, დასაწყისი იხ. „საბა“, № 1, 3, 2007 წელი)

#### მოხალისეობისათვის დამახასიათებელი თვისებები

მოხალისეობა მოითხოვს განსაკუთრებულ მადლს და დამოუკიდებლობას. ზოგიერთი მათგანი ქვემოთაა ჩამოთვლილი:

- პასუხისმგებლობა – ამ მოძრაობის სოციალური უსაფრთხოების მიზნით. ეს ნიშნავს ძიებას ჭეშმარიტი სამართლიანობისათვის, რომელიც არ არის მხოლოდ გამოცხადებული სამართლიანობა და თანასწორობა;
- უარს ამბობ უმცირებაზე და ცდილობ იყო საზოგადოების კარგი ელემენტი;
- მზად იყო მიატოვო მსახურების ეს სახე, თუკი მისი შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს რომელიმე სტრუქტურის მიერ და უურადღება მიაქციო საზოგადოების ახალ საჭიროებებს;
- იცოდე, როგორი ურთიერთობა გქონდეს პოლიტიკოსებთან, მუნიციპალიტეტთან და კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან, რათა შესძლო შეცვალო კანონები და ხელშეკრულებები;
- შენი სამუშაოს ორგანიზება მოახდინო ისე, რომ საკუთარი თავისუფალი დრო ნაყოფიერად გამოიყენო;
- სხვათა მუშაობის რეგულირების შესაძლებლობა;
- ძლიერი ემოციური და ფსიქიკური ბალანსი, რათა შეძლო დაიკმაყოფილო სასწრაფო მოთხოვნები;
- იმ ადამიანთა ინტერესების შეჯამება, რომელთაც ეხმარები. ამ დროს თავშეკავებულად იქცევი;
- პატივისცემა კანონებისა, ტრადიციებისა და სხვისი იდეებისა;
- ქრისტიანებისათვის აუცილებელია თეოლოგიური და სულიერი აღზრდა.

## **გის შეუძლია იყოს მოხალისე**

ყველას შეუძლია და ყველა უნდა იყოს მოხალისე: საერო თუ სასულიერო პირი.

### **საერო პირები**

ქრისტიანს, სახარებიდან და თავისი რწმენიდან გამომდინარე, ყოველთვის უნდა ჰქონდეს მოხალისეს სული.

იყო ქრისტიანობა არის მოწოდება, გიყვარდეს და გაუზიარო შენი ცხოვრება დარიბებს, მიუსაფრებსა და ავადმყოფებს.

### **ახალგაზრდები:**

- მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე;
- პრობლემების არსებობის დროს, მათი სოციალური დამოკიდებულებიდან და მგრძნობელობიდან გამომდინარე;
- მათი უნარი, იდეები საქმეებად გადააქციონ იძულების გარეშე.

### **ქალები:**

- მათი დელიკატურობით და თავაზიანობით ავადმყოფთა და ხანდაზმულთა მიმართ;
- მათი სპონტანური კომუნიკაცია.

### **ხანდაზმული ადამიანები:**

– რომლებიც არიან დამოუკიდებელნი და ჯანმრთელები. ამ კატეგორიის ადამიანები საკმაოდ საჭირონი არიან ჩვენს დროში.

მოხალისეობას აქვს ფუნქცია, რითაც შეუძლია დროებით ჩაენაცვლოს საინსტიტუტო ორგანოებს, მათი ცუდად მუშაობისა და მათი მხრიდან დახმარების ნაკლებობის გამო. მას ასევე აქვს ფუნქცია დაგვანახოს, თუ რა სოციალური და სანიტარული სამსახური სჭირდება ახლადწარმოქმნილ მოთხოვნილებებს.

როგორც ქრისტიანები, ჩვენ მოვალენი ვართ ვებრძოლოთ უმოქმედობას.

მოხალისეს საშუალება და ინტერესი უნდა ჰქონდეს, გადაჭრას სოციალური პრობლემები.

საკრებულოში (მრევლში) ყოველთვის შეგვიძლია ვიპოვოთ ამ ხასიათის მქონე ადამიანები, რადგან სახარება უბიძებს, იყვნენ მოხალისენ.

ბალიან მნიშვნელოვანია მოხალისეობის ორგანიზება, რადგან მოხალისეს უნარი აქვს პირდაპირ შეხედოს იმ სიტუაციას, რომელიც თავს იჩენს.

მოხალისეობის ორგანიზება შეიძლება განხორციელდეს ერთ ეპარქიაში. მსურველებს შეუძლიათ შეუერთდნენ უკვე არსებულ მოხალისეთა ჯგუფებსაც.

მოხალისე იდებს ტექნიკურ ცოდნას, რომელიც აუცილებელია მისი სამსახურის დროს. მოხალისემ მუდმივად უნდა განაახლოს თავისი ადამიანური და სულიერი შეხედულებები.

მოხალისეთა პერიოდული შეხვედრები გაკეთებული სამუშაოს თაობაზე საშუალებას აძლევს მოხალისეებს, მუდმივად ეძიონ დახმარების უკეთესი მეთოდები ახლად წამროჩენილი მოთხოვნილებების გადაჭრის მიზნით.

### სასულიერო პირები

მოხალისეობა დიად ყველა მოქალაქისათვის და, რა თქმა უნდა, სასულიერო პირთათვისაც, რომლებიც არიან სრულფასოვანი მოქალაქეები და ეკუთვნიან რელიგიურ ინსტიტუტებსა და კონგრეგაციებს.

სასულიერო პირი უკვე არის მოხალისე. შეწირული ადამიანი უანგაროდ სთავაზობს თავის სამსახურს სხვებს. შეიძლება ითქვას, რომ ცნებები – „სასულიერო პირი“ და „მოხალისე“ – იდენტურებია.

სასულიერო პირს შეუძლია იყოს მოხალისე ინდივიდუალურად, საკუთარი ინიციატივით, ან შეუერთდეს უკვე ორგანიზებულ მოხალისეთა ჯგუფს, როგორც ანიმატორი, ან უბრალო მონაწილე.

მოხალისეობა შეიძლება განხორციელდეს საკრებულოს მიერ:

რომელიმე კონგრეგაციის მიერ სპეციფიკური ქარიზმიდან გამომდინარე, რათა უპასუხონ დროის მოთხოვნებს და წარმოაჩინონ ახალი პორიზონტები.

უნდა გვახსოვდეს, რომ რელიგიური კონგრეგაციების დამაარსებლებმა თავისი საქმიანობა დაიწყეს, როგორც მოხალისეებმა და მოხალისეებთან ერთად.

რელიგიური საკრებულო უნდა უპასუხობდეს დროის მოთხოვნებს, ისტორიულ, კულტურულ ცვლილებებს და განახლებას; ეს არის განახლება შემოქმედებითი ენერგიისა, ქარიზმებისა და საიმედოობისა, სამსახურისა და ქველმოქმედებისა პირადული და ჩვენი მმების სულიერი ზრდისათვის.

მოხალისეობა სასულიერო პირთათვის იგივეა, რაც ყველა ქრისტიანისათვის.

სასულიერო პირს შეუძლია და თავისუფალ დროს დაკავებულია მოხალისეობით, – მას შემდეგ, რაც შეასრულებს თავის მოვალეობას საკრებულოში.

მოხალისეობის დროს არ არის ასაკობრივი შეზღუდვა, ყოველ სასულიერო პირს შეუძლია ნახოს თავისი ადგილი: ხანშიშესულ და ასაკოვან სასულიერო პირებს აქვთ გარკვეული უპირატესობა. ამ დროს ასაკოვანი ადამიანი არის მოხალისეობის არა „ობიექტი“, არამედ „სუბიექტი“.

მოხალისეობის დროს უნდა გვქონდეს ცვლილებების, კოორდინაციის, პერიოდული განახლების სურვილი. ეს დამოკიდებულია სასულიერო პირზე, მრევლზე, ტერიტორიაზე, ჯგუფებზე, საკრებულოზე, კონგრეგაციაზე, რათა განისაზღვროს მათი საქმიანობის არეალი.

შეუძლებელია არ შეუერთდე ეპლესიას, რომელიც ემსახურება ადგილობრივ საკრებულოებს საერო თუ სასულიერო კუთხით, რწმენით, რათა აამაღლოს ადამიანთა კვალიფიკაცია:

ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორი სამსახური შევთავაზოთ, შეგვიძლია მოვახდინოთ პაპის სიტყვების ციტირება: „მოხალისეობა არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც მხოლოდ ენთუზიაზმიდან გამომდინარე საქმიანობა. მოხალისეს უნდა ჰქონდეს საგანგებო, პროფესიული და ტექნიკური განათლება...“.

დაბოლოს, აუცილებელია მუდმივი განახლება, ხოლო მუშაობის დროს – ორგანიზება და კოორდინაცია, ამასთანავე, შესრულებული სამუშაოს პერიოდული შეფასება და ცვლილება.

## სტატისტიკა

### კათოლიკურ ეპლესის რიცხობრივი რაოდენობა მსოფლიოში (1978-2004 წლების მონაცემებით)

გაეროს ხელო არსებული უკანასკნელი მონაცემით, მსოფლიოს მოსახლეობამ 2004 წლის 31 დეკემბერს 6.388.500.000-ს მიაღწია, მათ შორის მონათლული კათოლიკები შეადგენდნენ 1.098.366.000-ს, რაც დედამიწის საერთო მოსახლეობის 17,2%-ის ტოლია.

ცხადია, რიცხვები ყოველთვის მიახლოებითია; ქვემოთ მოყვანილი ციფრები საეკლესიო იურისდიქციის მიერ წმიდა საყდრის სახელმწიფო სამდივნოსათვის გაგზავნილ ყოველწლიურ სტატისტიკურ მონაცემებს ემყარება.

1978 წ-დან 2004 წ-დე მსოფლიოში კათოლიკების სწრაფი ზრდა აღინიშნებოდა, ანუ 45%-ით. მართლაც, 1978 წელს კათოლიკეთა რიცხვი იყო 757 მილიონი.

ცხრ. 1.

მორწმუნე კათოლიკები  
1978, 1988 და 2004 წლებში: მათი გეოგრაფიული განაწილება,  
100 სულ მოსახლეზე; პერიოდული ცვლილება.

კონტინენტი ათასებში				100 %-დან			100 სულ მოსახლეზე			1978-2004 წწ. ცვლილები %-ში
	1978	1988	2004	1978	1988	2004	1978	1988	2004	
აფრიკა	54.759	81.883	148.817	7,24	9,13	13,55	12,37	13,41	16,97	171,77
ამერიკა	366.614	444.422	548.756	48,46	49,55	49,96	62,22	63,50	62,34	49,68
აზია	63. 183	84.302	113.489	8,35	9,40	10,33	2,53	2,78	2,91	79,62

ევროპა	266.361	279.401	278.736	35,21	31,15	25,38	40,53	41,14	39,54	4,65
ოკეანეთი	5.616	6.870	8.568	0,74	0,77	0,78	25,30	26,83	26,24	52,56
<b>მსოფლიო</b>	<b>756.533</b>	<b>896.878</b>	<b>1.098.366</b>	<b>100,00</b>	<b>100,00</b>	<b>100,00</b>	<b>17,99</b>	<b>17,77</b>	<b>17,19</b>	<b>45,18</b>

თუმცა ეს მონაცემი, არცთუ მთლად სახარბიელოა ამავე პერიოდში დაფიქსირებული მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ფონზე, რომელმაც 4,2-დან 6,4 მილიარდამდე აიწია. გამომდინარე აქედან, კათოლიკეთა რიცხვი მსოფლიო მასშტაბით 18%-დან 17%-მდე კლებას განიცდის. 2003 წელთან შედარებით, 2004 წელს უმნიშვნელოდ იკლო მონათლული მორწმუნების რიცხვმა. ყველაზე მეტი ძვრა სხვა კონტინენტთან შედარებით, შეიმჩნევა აფრიკაში, სადაც კათოლიკების რიცხვი თითქმის გასამმაგდა 12,4%-დან 17%-მდე. აზიაშიც შეიმჩნევა მორწმუნეთა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა, 79%-ზე მეტი, თუმცა აზიის მოსახლეობასთან შეფარდებით იგი 3%-ია. (დანარჩენ მონაცემებს შემდეგ ნომერში შემოთავაზებოთ).

## **კათოლიკური სტატისტიკა ანუ მშრალი ციფრების მიღმა დანახული სამყარო**

არსებობს ერთი ნახევრად სერიოზული გამონათქვამი, რომ არის ტყუილი, დიდი ტყუილი და სტატისტიკა. და თუ ეს სტატისტიკა პოლიტიკას ან რელიგიის სფეროს ეხება, სინამდვილის დოზა კიდევ უფრო მცირდება. გავიხსენოთ ერთი ფაქტი, არც თუ შორეული წარსულიდან. მავანნი მედიის საშუალებით აფრთხობდნენ საზოგადოებას, არიქა, იელოველების რიცხვი 100 ათასს აჭარბებსო, სინამდვილეში კი იქოვას მოწმეთა რაოდენობა საქართველოში 6 ათასს არასოდეს ასცილებია. ერთ-ერთ ინგლისურ ცნობარში მოთავსებული იყო ცნობა, რომ ბრიტანეთში ებრაელების რაოდენობა 350 ათასია. მაგრამ იქვე იყო მინიშნება, რომ ეს რაოდენობა ბევრად მეტია. უბრალოდ, სხვადასხვა მოსაზრებებით, აღნიშნული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები არ აფიქსირებენ ოფიციალურ გამოკითხვებში თავიანთ ეთნო-რელიგიურ წარმომავლობას. მაგალითად, საბჭოთა პერიოდში შემცირებული იყო პოლონელთა და გერმანელთა რაოდენობა, ხოლო აფხაზეთის ასერ-ში გაზრდილი იყო ზოგიერთი ეთნოსის პროცენტული რაოდენობა. ხოლო რელიგიური კუთხით ოფიციალურად საერთოდაც არ წარმოებდა სტატისტიკური აღრიცხვა. ერთი სიტყვით, სტატისტიკა პოლიტიკის მსახურს წარმოადგენს, ისევე, როგორც შუა საუკუნეებში ფილოსოფია იყო თეოლოგიის მსახური. და თუ გურამ დოჩანაშვილის ლიტერატურის მოყვარე გმირსაც გავიხსენებოთ, რომელსაც სასტიკად არ უყვარდა უბრალო არითმეტიკული სტატისტიკა, შეიძლება ჰამლეტივით ერთგვარი დილემის წინაშე აღმოვჩნდეთ – ვენდოთ თუ არა? და მაინც,

პოსტმოდერნისტულ ეპოქასა და ურბანისტულ გარემოში  
მცხოვრებისათვის სტატისტიკა და ინფორმაცია ლამის „ალმა მატერზე“  
მეტად ფასობს. ამიტომ გავტედავ და ამ წერილს სტატისტიკური  
მონაცემებით დავიწყებ.

კათოლიკობა, ანუ კათოლიკე ეკლესიის მიმდევარნი, – ისინი, ვინც  
თანაზიარებაში იმყოფებიან რომის ეპისკოპოსთან, ყველაზე  
მრავარიცხოვანი კონფესიაა დედამიწაზე არსებულ კონფესიათა შორის.

1990 წლისათვის მსოფლიოში დაახლოებით მილიარდი კათოლიკე  
ცხოვრობდა (ანუ ვინც დააფიქსირა თავისი რელიგიურობა, – სსრკ-სა და  
ჩინეთში მცხოვრები კათოლიკენი ამ რაოდენობაში გათვალისწინებული  
არ ყოფილან), ეს ციფრი იმდროინდელი პლანეტის, იმდროინდელი  
მოსახლეობის 17,5%, ანუ თითქმის ყოველი მე-5 ადამიანი იყო.

დღეისათვის კათოლიკეთა საერთო რაოდენობა 1,1 მილიარდს  
აჭარბებს, რაც მსოფლიო მოსახლეობის საერთო რაოდენობის 17%-ს  
შეადგენს. კონტინენტების მიხედვით ყველაზე მეტი კათოლიკე ამერიკაში  
ცხოვრობს, კონტინენტის მოსახლეობის 65%. მეორე ადგილზე უკრაინა,  
სადაც კათოლიკენი მთელი მოსახლეობის 42%-ს შეადგენენ. შეერთებულ  
შტატებში კათოლიკენი უმრავლესობას წარმოადგენენ – 65 მილიონი,  
მთელი მოსახლეობის 25%. ამ მხრივ საქართველოში კათოლიკეთა  
რაოდენობა ერთობ მოკრძალებულია, დაახლოებით 1%. 1898 წლის  
აღრიცხვით ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში 20 ათასი ქართველი  
კათოლიკე სახლობდა (უნდა ვიფიქროთ, რომ „ქართველში“ – ლათინური  
წესის კათოლიკეები იგულისხმება), 1912 წლის აღრიცხვით კათოლიკეთა  
რაოდენობა 30 ათასს აღწევდა.

\*\*\*

ისტორიული წყაროების თანახმად, ლათინური წესის კათოლიკე  
მორწმუნები საქართველოს ტერიტორიაზე XIII საუკუნიდან ცხოვრობენ,  
თუმცა, ზუსტი სტატისტიკური მონაცემები მათი რაოდენობის შესახებ არ  
მოიპოვება. არსებობს სხვადასხვა ისტორიული წყაროები, რომლებიც  
გვაწვდიან მწირ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ საქართველოს სამეფო-  
სამთავროების სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში, სხვადასხვა დროს,  
რამდენი კომლი ლათინური წესის მიმდევარი მორწმუნე სახლობდა.  
მაგალითად, კათოლიკური მისიონის არსებობის შემთხვევაში კონკრეტულ  
ქალაქში თბილისი იქნებოდა, ცხუმი, გრემი, ცხინვალი, გორი თუ ონი,  
სწრაფად ფორმირდებოდა ლათინური წესის მორწმუნეთა საკრებულოები,  
მაგრამ ისტორიულ-პოლიტიკური კატაკლიზმებისა და პოლოტიკური  
ორიენტაციების გამო, ეს საკრებულოები კათოლიკური მისიის გაუქმდებისა  
და მოდგვრის გარეშე დარჩენის შემთხვევაში სწრაფადვე უბრუნდებოდნენ  
საქართველოს ან სომხეთის საკათალიკოსოთა წიაღს. საქართველოს  
ქალაქებში უკვე XVI საუკუნიდან საკმაოდ ძლიერი სომხური ექსპანსია  
დაიწყო და ეს ექსპანსია არა მხოლოდ სომხური სამოციქულო ეკლესიის  
მხრიდან წარმოებდა, არამედ სომხური წესის კათოლიკეთა მხრიდანაც.  
მაგალითისათვის 1546 წელს საქართველოს ტერიტორიაზე 102 სომები  
უნიატი ბერი შემოვიდა და მისიონერული საქმიანობა გააჩადა,  
ძირითადათ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე (აქაც და შემდგომაც შუა

საუკუნეების სტატისტიკური მონაცემები ამოღებულია პროფ. მურმან პაპაშვილის წიგნიდან „საქართველო-რომის ურთიერთობა“). ცხადია, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ მცდელობას საკმაო შედეგებიც მოჰყვებოდა, ვინაიდან ისინი საკმაოდ ძლიერ მხარდაჭერას გრძნობდნენ უცხოეთიდან. სწორედ ამ პერიოდში ქართველი კათოლიკეების ძირითადი, თუ სრულად არა, ნაწილი დაუბრუნდა ქართულ ეკლესიას. მოვლენის ერთადერთი მიზეზი საეკლესიო მსახურებაში სომხური ენის შემოტანა გახლდათ. ამის გამო XVI საუკუნიდან რომი საქართველოში მხოლოდ ლათინური წესის მღვდლებს აგზავნის (ცხადია ქართველ მეფე-მთავართა დაუინებული თხოვნის საფუძველზე), რომლებიც ქართულად ატარებდნენ მსახურებას, ხოლო ოდიშის სამთავროში კი – მეგრულად ქადაგებდნენ. სომეხ უნიატების ასპარეზად ოსმალეთის იმპერიაში იძულებით შეევანილი და რამდენიმე საფაშოდ დაყოფილი სამცხე-საათაბაგო დარჩა.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაც საქართველოს სამეფო-სამთავროებში აღორძინდა კათოლიკური მისიები, ლათინური წესის ქართველ მორწმუნეთა რაოდენობა შედარებით სწრაფად იზრდება. 1667 წელს თბილისში კათოლიკთა რვა ოჯახი ცხოვრობდა. თუმცა წყაროებიდან სჩანს, რომ კათოლიკე მღვდლებთან აღსარებას ბევრი სხვა მორწმუნეც ამბობდა, მისიონის სკოლაში კი 25 მოსწავლეს უსწავლია.

1676 წელს თბილისის კათოლიკური სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა უკვე 50 აღწევდა. ამავე პერიოდში ლათინური წესის კათოლიკური ეკლესიები არ სებობდა გორში და ქუთაისში. ქუთაისის გარდა, იმერეთის სამეფოში კათოლიკური მრევლი ონშიც ყოფილა. 1751 წელს ონში დაახლოებით 35 კათოლიკეს უცხოვრია. თუმცა 1754 წლიდან ეს მისიონი ადარ არ სებობს ოსმალეთიდან შემოგზავნილი ბერძენი მღვდლების აქტიური ზეწოლით.

ოსმალეთიც, ირანიც და შემდგომ რუსეთიც ჩვენს ქვეყანაში ლათინური წესის კათოლიკური მისიების არ სებობასა და მათდამი ქართველთა სიმპათიებში საქართველოს დამოუკიდებლობისა და ევროპისაკენ სწრაფვას ხედავდნენ.

ისტორიული წყაროები იმასაც გვატყობინებენ, რომ ამ პერიოდში გორში ორი ეკლესია ყოფილა, რომელიც მართლმადიდებელთა ხელში იყო გადასული და რომელთაგან ერთი მეფე ვახტანგ V შაჰნავაზს კათოლიკებისათვის დაუბრუნებია. ისტორიული წყაროების თანახმად, 1669 წელს გორში კაპუცინებს 300 მეტი ბავშვი მოუნათლავთ. ეს საკმაოდ დიდი ციფრია (ცხადია, თუ სიმართლეს შეეფერება) ისეთი პატარა ქალაქისათვის, როგორიც იმხანად გორი იყო.

შედარებით ზუსტი მონაცემები კათოლიკე მორწმუნეთა რაოდენობის შესახებ XIX საუკუნიდან შეიძლება მოვიძოოთ. მართალია, არც ეს რაოდენობაა სრული სახით წარმოდგენილი, თუმცა იმხანად საერთოდ არც სხვა რელიგიათა და კონფესიათა მიმდევრების შესახებ არსებობს დაზუსტებული ინფორმაცია. და მაინც, 1802 წლისათვის ცხინვალში სადაც კათოლიკური ეკლესიის ნაგებობაც კი არ იყო, 30 კათოლიკე სახლობდა, მათ სურვილიც პქონიათ ტაძრის აგებისა, მაგრამ რუსეთის

მმართველობას ნება არ მიუცია. ამავე პერიოდში თბილისის კათოლიკური სკოლაში 12 მოსწავლეს უსწავლია.

1814 წლის მონაცემებით თბილისში 55 კათოლიკე თჯახი სახლობდა. ხოლო 1830 წლისათვის კათოლიკურ თჯახთა რაოდენობამ 92 მიაღწია. XIX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში გორში 30 კომლი კათოლიკე ცხოვრობდა. რომლებმაც იმ პერიოდში დაიწყეს ახალი ეკლესიის მშენებლობა. შედარებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონიათ კათოლიკებს იმერეთში, სადაც უკანასკნელმა ქართველმა მეფემ სოლომონ II-მ კათოლიკებს მიწის ნაკვეთიც უბოძა ეკლესიის ასაშენებლად და ერთი პატარა ხოფელიც თავის გამოსაკვებად. რაც შეეხება ახალციხეს, აქ XIX საუკუნის დასაწყისში 450 კომლი კათოლიკე სახლობდა.

1818 წელს საქართველოში (იგულისხმება ტფილისისა და ქუთისის გუბერნიები, სამხრეთ საქართველო იმხანად ოსმალეთის იმპერიის ნაწილი იყო) ლათინური წესის კათოლიკეთა რაოდენობა ცხრა ათასი ყოფილა. ამ ინფორმაციას აწვდის კაპუცინი მღვდელ-მონაზონი ამადე პიემონტელი პროპაგანდა ფიდეს.

XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსათვის, საქართველოს ტერიტორიაზე სწრაფად იზრდება კათოლიკეთა რაოდენობა, რაც ორი მიზეზით არის განპირობებული. პირველი, ეს გახსნა 1828 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომ სამხრეთ საქართველოს შემოერთება, ოსმალეთისათვის წართმეულ ტერიტორიებზე რამდენიმე ათასი ქართველი და სომეხი კათოლიკე სახლობდა. მეორე მიზეზი კი – საქართველოში ევროპელების ჩამოსახლებაა. ვარშავის აჯანყების შემდგომ ცარიზმა 1830 წელს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლონელები თბილისში გადმოასახლა.

კათოლიკების მასობრივი ჩამოსახლება მოხდა XX საუკუნეშიც, პერძოდ, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ასეულობით ასირიელმა თჯახმა შეაფარა თავი თბილისს. მათ შორის მრავალი ასირიულ-ქალდეური წესის კათოლიკე იყო.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომლის თანახმადაც ვიგებთ, რომ იმუამად ტფილისასა და ქუთისის გუბერნიებში, სოხუმისა და ბათუმის ოლქების ჩათვლით 20 ათას ქართველ კათოლიკეს უცხოვრია (მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1,9 მილიონი). თუმცა აქ ერთი გაუგებრობა იჩენს თავს. თუ ქართველ კათოლიკეში იგულისხმება ლათინური წესის მიმდევრები, მაშინ ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში მცხოვრები კათოლიკე მორწმუნები ამ ციფრში არ უნდა იყოს ნაგულისხმები, ვინაიდან მათი უმრავლესობა იმუამად ეროვნების მიუხედავად, სომხური ტიპიკონის მიმდევარი იყო. ხოლო თბილისში, ქართველთა გარდა, ლათინური წესის მიმდევარი სხვადასხვა ეროვნების მრავალი კათოლიკე ცხოვრობდა. ასე რომ, 20 ათასი ქართველი კათოლიკე არ უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს, მაშინ სად არიან ათასობით პოლონელი, გერმანელი, ფრანგი, სომეხი კათოლიკენი, ისინიც ხომ უნდა ყოფილიყვნენ აღრიცხულნი და დაფიქსირებულნი? 1913 წელს კვლავ ჩატარდა მოსახლეობის აღრიცხვა და

აღმოჩნდა, რომ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში კათოლიკების რაოდენობა 10 ათასით გაზრდილა და 30 ათასისათვის მიუღწევია (მოსახლეობის საერთო რაოდენობა 2,6 მილიონი ადამიანი). ოდონდ სტატისტიკურ გრაფაში ისევ ქართველი კათოლიკები არის მითითებული და არა ზოგადად კათოლიკები, თუმცა არაქართველ კათოლიკეთა რაოდენობა საკმაოდ მაღალი იყო.

თუ დაახლოებით 15 წელიწადში კათოლიკების რაოდენობა 10 ათასით გაიზარდა და ეს ნამატი პროპორციულია იმ პერიოდის მოსახლეობის ზრდის საერთო ნამატისა, კათოლიკეთა რაოდენობა 1897 და 1913 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ორივე გუბერნიის მოსახლეობის ერთ-ნახევარ პროცენტს შეადგენდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ 1990 წლისათვის საქართველოში კათოლიკეთა რაოდენობა 60-70 ათასი უნდა ყოფილიყო.

1989 წლის ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვით საქართველოს სსრ-ში 5,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. ცხადია საბჭოთა პერიოდში მოსახლეობის სტატისტიკური აღრიცხვის დროს ყველაფერს ითვალისწინებდნენ და აფიქსირებდნენ, გარდა მოსახლეობის რელიგიურობისა, ვინაიდან მიჩნეული იყო, რომ სსრკ-ში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, ათეისტი თუ არა, არარელიგიური იყო (და ეს მართლაც შეესაბამებოდა სინამდვილეს). თუმცა ისიც ფაქტია, რომ კათოლიკები ყველაზე რელიგიურ მორწმუნეთა თემს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში. ასე რომ ჩვენ არ გვაქვს მოსახლეობის რელიგიურ-კონფესიური მიკუთვნების არანაირი სტატისტიკური მონაცემები, გარდა ერთისა, რაც დადასტურებით ცნობილია, რომ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში სადღესასწაულო წირვას თბილისის წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძარში 500-მდე მორწმუნე ესწრებოდა. ერთი ტაძარი მეტ ადამიანს პრაქტიკულად ვერც დაიტევდა. ხოლო რიგით საკვირაო წირვებს 200-ზე მეტი მორწმუნე ყოველთვის ესწრებოდა, და რომელთვან ზიარებას 99 პროცენტი იღებდა. მაგრამ მარტო ეს რაოდენობაც რომ გავითვალისწინოთ, საკმაოდ შოამბეჭდავი ციფრია.

თუ გავითვალისწინებოთ 80-იანი წლებში კონფესიების მიხედვით სამლოცველო ადგილებში მორწმუნეთა სისტემური დასწრების სტატისტიკას, ადვილად დავრწმუნდებით კათოლიკეთა მრევლის აქტიურობასა და რელიგიურ დისციპლინირებულობაში. მაგალითად, სომხეთი სამოციქულო ეკლესიის საკათედრო ტაძარში საკვირაო წირვებს ორმოცი-ორმოცდაათი ადამიანი ესწრებოდა, ხოლო მეორე ტაძარში წირვაზე მორწმუნეთა რაოდენობა 15 კაცს არ აჭარბებდა. ლიტურგიაზე დამსწრეთაგან ზიარებას 50 პროცენტიც კი არ იღებდა, ხოლო ეკლესიის დიაკონი თავად კათოლიკურ ეკლესიაში ეზიარებოდა... და ეს მაშინ, როდესაც თბილისში სომხეთი მოსახლეობის რაოდენობა რამდენიმე ათეულ ათასს შეადგენდა. მრევლის მრავალრიცხოვნობით არც სხვა კონფესიები გამოირჩეოდნენ.

2002 წლის ჩატარებული საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობა მილიონ ასი ათასით შემცირდა და 4,4 მილიონი ადამიანია. თუმცა ეს შემცირება მარტო ემიგრაციის ხარჯზე არ

მომხდარა. მოსახლეობის აღწერა, გასაგები მიზეზების გამო, ვერ ჩატარდა აფხაზეთისა და ცხინვალის ოეგიონის ტერიტორიაზე. 4,4 მილიონი მოსახლიდან თავი სხვადასხვა რელიგიისა და კონფესიის მიმდევრად ჩათვალია მოსახლეობის 99,4 პროცენტი. 0,6 პროცენტი კი თავს არც ერთი რელიგიის მიმდევრად არ მიიჩნევს. 0,8 პროცენტი თავს ისეთ რელიგიებს მიაკუთვნებს, რომლებიც თავიანთი ეგზოტიკურობის გამო სააღრიცხვო ბიულეტინებში არ შეიტანეს. იუდევლების რაოდენობა 0,1 პროცენტით ყველაზე მცირერიცხოვანი აღმოჩნდა. მუსლიმების რაოდენობით საქართველო აშკარად უსწრებს ევროპის ქვეყნებს, ჩვენთან მოსახლეობის 10 პროცენტი, ანუ ეოველი მეათე, ისლამის სუნიტურ ან შიიტურ (არიან ცალკეული ვაჰაბიტებიც) აღმსარებლობის მიმდევარია. 434 ათასს მუსლიმს შორის, აზერბაიჯანლებთან და სხვადასხვა მცირერიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან ერთად, საკმაოდ ბევრი ეთნიკური ქართველიც არის.

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 89 პროცენტი თავს ქრისტიანად მიიჩნევს. ქრისტიანთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვან კონფესიას მართლმადიდებლები წარმოადგენენ, დაახლოებით 84 პროცენტი. მართლმადიდებლებში ყველაზე მრავალრიცხოვანნი ქართველები არიან, თუმცა, ქართველთა გარდა, ამ 84 პროცენტში შედიან: რუსები, ოსები, ბერძენები, უკრაინელები, აფხაზები, და სხვა ერების წარმომადგენელთა მცირერიცხოვანი ჯგუფები. სომხური ეკლესიის მიმდევრად 3,9 პროცენტმა მიიჩნია თავი.

კათოლიკე ეკლესიის აღმსარებელთა რაოდენობამ 35 ათასი შეადგინა. როგორც ავღნიშნეთ, აქ არ შედის აფხაზეთში მაცხოვრებელ კათოლიკეთა რაოდენობა. კათოლიკეთა რაოდენობის შემცირება გამოიწვია, ბოლო წლების მასობრივმა ემიგრაციამ (თითქმის სრულად წავიდნენ სამშობლოში გერმანელი კათოლიკები), ასევე მრავალი პოლონელი, ასირიელი, სომეხი და უკრაინელი კათოლიკე გადასახლდა ისტორიულ სამშობლოში. მრავალი ქართველი კათოლიკეც გაემგზავრა უცხოეთში უკეთესი ცხოვრების საძიებლად. ამას გარდა, კათოლიკეების საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ნაწილმა გასული საუკუნის 90-იან წლებში, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში, სხვადასხვა მიზეზით, უმთავრესად კი საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის გამო, შეიცვალა აღმსარებლობა. ეს პროცესი ბოლო წლებში შეჩერდა. თუმცა ასევე მრავალი ადამიანი, პირადი რწმენისა და აზრის გათვალისწინებით, უკანასკნელი წლების განმავლობაში გახდა ლათინური წესის მიმდევარი ქრისტიანი.

გარდა ლათინური წესის კათოლიკეებისა, რომლებიც მსახურებაში ქართულ ენას იყენებენ, საქართველოში ამჟამად სომხური წესის 20 ათასამდე და ასირიულ-ქალდეური წესის 1,5 ათასი კათოლიკე ცხოვრობს, რომელებიც თავიანთ მშობლიურ ენებზე აღასრულებენ მსახურებას.

## ნუგზარ ბარდაველიძე

## უპასუხებს მამა გაბრიელე ბრაგანტინი

**როდის უნდა ვიდგეთ ლიტურგიის დროს ფეხზე და რა აზრი აქვს ამ ჟესტს?**

უკელაზე გავრცელებული წეს-ჩვეულება, რასაც ლიტურგიული დასი ასრულებს, არის ფეხზე დგომის წესი. ქრისტიანი ფეხზე მდგომი ლოცულობს. თუკი ქრისტიანულ ხელოვნებაში მლოცველთა ამსახველ სურათებს გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ ყველა მათგანზე გამოსახულია ფეხზე მდგომი ადამიანის სახე, გაშლილი ხელებით.

მწირველი ფეხზე დგას მთელი ლოცვის მანძილზე. თავად მორწმუნეთა დასი მოწოდებულია, რომ წირვის დასაწყისში ფეხზე იდგეს, რათა პროცესში ჩაერთოს.

ფეხზე დგომის ჟესტი მრავალმნიშვნელოვანია: იგი გამოხატავს, უწინარესად, დმრთისადმი მოწიწებას და პატივისცემას. დასი ფეხზე დგას მაშინაც, როდესაც ხვდება მწირველს. წირვის დროს და ზოგიერთ განსაკუთრებული მომენტში ლიტურგიული დასი ყოველთვის ფეხზე დგას. ლოცვის ასეთი წესი დამახასიათებელია როგორც ქრისტიანის, ასევე იუდეველისთვის. ფეხზე დგომა გამოხატავს დმრთის შვილის ღირსებას, რომელიც ქრისტიანებმა მიიღეს. თუკი შვილები ვართ, ადარ ვართ მონები; მონა პატრონის ფეხებთანაა განრთხმული, შვილი კი არა, იგი ფეხზე დგას. ჩვენ ცოდვისა და სიკვდილისაგან ვართ გამოხსნილნი, ამიტომაც შეგვიძლია უშიშრად წარვდგეთ დმრთის წინაშე.

ფეხზე დგომა ნიშნავს საკუთარი სხეულით ადიარო, რომ ქრისტეს პასექმა გამოგვისყიდა, გამოგვისნა. და როგორც გამოხსნილები დგანან ფეხზე ზეციურ იერუსალიმში დმრთის ტახტისა და ანგელოსთა წინაშე, ასევე ჩვენც, საპასექო კრავის მიერ გამოსყიდულნი, ფეხზე მდგომნი ვალიარებთ ახალ ცხოვრებას და ახალ ღირსებას, რომელსაც ვეზიარეთ.

ადრეული ეკლესია იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ფეხზე მდგომარე ლოცვას, რომ არასოდეს ლოცულობდა მუხლმოდრეკით, არც აღდგომაზე და არც აღდგომის კვირას. ნიკეის კრების (325) XX კანონი ზუსტ მითითებას გვაძლევს ამასთან დაკავშირებით: “რადგანაც არიან ზოგნი, რომლებიც კვირადდით და სააღდგომო უამს მუხლს იდრუენ, სრული გაერთიანების მიზნით კარგი იქნება, თუ დმრთისადმი აღვლენილი ლოცვები ფეხზე დგომით შესრულდება”. ეკლესიის სხვა მამებიც ამ აზრისა იყვნენ: “უფლის აღდგომის დღეს არა მხოლოდ არ უნდა მოვიდრიკოთ მუხლი, არამედ თავი შევიკავოთ ყველა ქმედებიდან, რაც მღელვარებას მოვიტანს და განვაგდოთ ჩვენი საწუხარიც, რათა ადგილი არ მივცეთ ეშმაკს” (ტერტულიანე, *De oratione*, XXVIII, 2). „ჩვენ ყველამ ვიცით მიზეზი, რისთვისაც აღვავლენთ კვირის პირველ დღეს ლოცვას ფეხზე მდგომნი. ასე მხოლოდ იმიტომ როდი ხდება, რომ ქრისტესთან აღვდეს და ჩვენც უნდა ვილტოდეთ ზეციური სამყაროსაკენ. აღდგომის დღეს მოვისენიებთ წყალობას, რაც მოგვენიჭა ფეხზე დგომით ლოცვისას, არამედ იმიტომ, რომ ის დღე გარკვეულად არის მომავალი

დროის ხატება, ის დღე ერთდროულად არის პირველი და მერვე აძლენად, იმ მოთხოვნის წყალობით, რასაც უკლესია შეაგონებს თავის შვილებს ამ დღეს ფეხზე დგომით ლოცვაზე, რათა ხაუკუნო ცხოვრების ძუდიში გახსენების გზით, უყურადღებოდ არ მივატოვოთ მასში შემავალი გზები” (ბასილი კესარიელი, სული წმიდის შესახებ, 27, 66).

აღდგომის მადლით, ღმრთისადმი მადლშეწირვის დროს, ფეხზე უნდა ვიდგეთ. ფეხზე დგომა ეს ქრისტიანთა მოლოდინის ნიშანია. ებრაელები, ეგვიპტიდან გამოსვლის დროს, ფეხზე მდგომნი ჭამდნენ პასექს და მზად იყვნენ თავისუფლებისა და აღთქმული მიწისაკენ წასასვლელად; ქრისტიანებიც იღებენ მონაწილეობას ლიტურგიაში “სამოზაურო განწყობით” მზადმყოფნი და ფხიზელნი ქრისტეს დაბრუნების მოლოდინით, ზეცისაკენ შემართულნი, რომელიც მათი მამულია, მათი ცხოვრების მიზანი და არსია.

იესოს სამარხი ნამდვილად ცარიელი იპოვეს? ზოგიერთის აზრით, იესოს სხეული მოიპარეს სამარხიდან, ამას კი შედეგად სასწაულებრივი აღდგომის ფაქტი მოჰყვა, შეიძლება მსგავსი რამ მომხდარიყო? ცნობილმა ამერიკელმა რეჟისორმა ჯეიმს კამერონმა გადაიღო დოკუმენტური ფილმი იესოს სამარხზე, რომელშიც ნახა იესოსა და მისი ახლობლების ნეშტები. როგორ ახსნით ამას?

ეჭვგარეშეა, რომ კამერონის დოკუმენტური ფილმი პოლივუდური კომერციის კიდევ ერთი გამოძახილია, ისეთი, როგორიც იყო ერთი წლის წინათ იუდას სახარების პოვნასთან დაკავშირებით გადაღებული ფილმი. ეჭვიც კი არ უნდა გაგიჩნდეს, რომ იესოს სამარხი ცარიელი იყო! ასე რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა იერუსალიმში ერთი დღით ან ერთი საათით მაინც მომხდარიყო აღდგომა, თუკი სარწმუნოდ არ დადგინდებოდა, რომ სამარხი ცარიელი იყო. მიუხედავად ექსპერტების მტკიცებისა, რომ სახარებებში ცარიელ სამარხზე ყურადღების გამახვილება გვიანდელი ფაქტია, მასზე აქცენტები არ კეთდება იესოს სიკვდილზე არსებულ უძველეს მოწმობებში – 1 კორ. 15, 1-5. მიუხედავად ამისა, არსად გვხდება წინააღმდეგობრივი ტრადიცია ცარიელი სამარხის ირგვლივ, მით უფრო ნაკლებად იუდეურ მოწმობებში. მავანნი ამტკიცებენ, რომ რამაული წესით ჯვრაცმულებს არ მარხავდნენ, მათ საერთო ორმოში ყრიდნენ. ეს ვარაუდი უპირისპირდება რომაულს, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში, თვით ჯვრაცმულების დამარხვის შესაძლებლობას უშვებს. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ როგორ ავხსნათ იუდეველთა შიში იმაზე, რომ შესაძლებელი იქნებოდა იესოს სხეულის მოპარვა. გარდა ამისა, სახარებებს არ შეეძლოთ სრულიად უსაფუძვლოდ, შეეთხსათ იუდეველთა სინედრიონის წინაშე ესოდენ მნიშვნელოვანი ფიგურა, მიეცათ მისთვის სახელი და წარმოშობა – იოსებ არიმათიელი (მარკოზი 15,43). არც იუდეველთა მეთაურებს და არც რომაელებს, ვისაც სამარხის დაცვა ევალებოდათ (მათ. 27, 62), არ ექნებოდათ სხეულის დამალვის ინტერესი, უფრო მეტიც, მათვის უმჯობესი იქნებოდა ყველასთვის ეჩვენებინათ იგი

და ამ გზით დაემცირებინათ მოწაფეთა მქადაგებლობა. ხოლო, თუკი ჯერ კიდევ გვამი არსებობდა, მას შემდეგ, რაც იერუსალიმში ხდებოდა, ცხადია, მოხდებოდა გვამის იდენტიფიცირება. იუდეველებს კიდეც რომ ენახათ გვამი, მას უსათუოდ ნახავდენენ სულთმოვენობაზე, პეტრეს ქადაგების შემდეგ, მაგრამ საუბარი არასოდეს ყოფილა გვამის პოვნაზე. ამგვარადვე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ იესოს მიმდევრებმა მოიპარეს გვამი, მაშინ, როდესაც რომაელი ჯარისკაცები იცავდნენ სამარხს, და მით უფრო, როდესაც დიდი ქვით იყო ამოქოლილი. რატომ ჩააგდებდნენ საფრთხეში საკუთარ სიცოცხლეს მოწაფეები გვამის მოპარვით? ბიბლია მოგვითხრობს დაბნეულ, უნუგეშო და შეშინებულ მოწაფეებზე, ამავე დროს, პატიოსან და ყოჩად ადამიანებზე, როგორ შეეძლოთ მათ საკუთარი თავის და სხვისი გაცურება? სისულელე იქნებოდა სხეულის მოპარვა და შემდეგ აღდგომის სცენის გათამაშება, როგორ იცხოვრებდნენ ისინი მთელი შემდგომი ცხოვრება და იქადაგებდნენ იესოს აღდგომაზე, მას შემდეგ რაც ეცოდინებოდათ, რომ თავად იყვნენ ამ სხეულის მომპარავნი? როგორ შეეძლოთ ყველაფერი იმის ატანა, რაც მათ აიტანეს, თუკი ეცოდინებოდათ, რომ რწმენა აგებული იყო მათ მიერ ჩადენილ ქურდობაზე? არცერთი საღი აზროვნების ადამიანი არ ისურვებდა ამგვარ პირობებში ცხოვრებას. ეკლესიის ფეთქებადი ზრდა იესოს აღდგომის ძლიერებაზეა აგებული, და რომ სამარხი ნამდვილად ცარიელი იყო, არა იმიტომ რომ სხეული მოიპარეს, ან ორმოში ჩააგდეს! მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ის, ვინც რომაული იმპერიის მშვიდობიანი გარდასახვა მოახერხა აღდგომის უწყებით, იყვნენ არა ძალმოსილი ადამიანები, არამედ უბრალო ხალხი, და რომ ქრისტიანობა იუდეველისგან მოდის, აღდგომის კიდევ ერთი დასტურია.

#### ინფორმაცია

#### მამა პიერ დიუმულენს

##### დირსო მამაო,

საქართველოში აკრედიტებული წმიდა საყდრის სადესპანოს დახმარებით თქვენ გულითადად იზრუნეთ, რათა პაპისათვის მოგეწვდინათ იმ წიგნის ცალი, რომელშიც გამოქვეყნებულია ვატიკანის II კრების დოკუმენტების თარგმანი ქართულ ენაზე. ეს არის სულხან-საბა თრბელიანის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი ნაშრომი, – მეტად სასარგებლო საქართველოში ეკლესიის ცხოვრების შემდგომი ღრმა განვითარებისათვის.

წმიდა მამას, რომელიც გაეცნო ამ ძლვენს და მადლიერებით მიიღო თქვენს მიერ ნაჩუქრობის წარწერაში გამოხატული გრძნობები, სურ გამოხატოს თქვენს წინაშე თავისი კმაყოფილება ამ საჩუქრისა და პატივისცემის გამომხატველი ამ თქვენი ინიციატივის გამო; იგი ილოცებს, რათა ის მისია, რომლისკენაც უფალმა იესომ მოგიხმოთ, მუდმივად გვირგვინდებოდეს უხვი ნაყოფით ეკლესიის საკეთილდღეოდ. ამასთანავე, ავედრებს თქვენს თავს, ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებსა და თანამშრომლებს, ასევე, სტუდენტებსა და მასთან ზიარებაში მყოფ

ძვირფას ადამიანებს ზეციურ დედას, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს და ამ კეთილი სურვილების განსამტკიცებლად გიგზავნით განსაკუთრებულ სამოციქულო ლოცვა-კურთხევას.

ვსარგებლობ შესაძლებლობით, რათა დაგიდასტუროთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

თქვენი ერთგული უფალში,

**ლეონარდო სანდო,**  
მოადგილე  
სახელმწიფო მდივანი

ვატიკანი  
3 თებერვალი, 2007

**დირს მამა პიერ დიუმულენს,**

სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის, ფილოსოფიის,  
კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის რექტორს

პატივცემულო მამა პიერ,

საქართველოში რომის პაპის წარმომადგენლის, მისი აღმატებულება მონსინიორ კლავდიო გუჯეროტის მეშვეობით, გასული წლის 16 დეკემბერს მივიღე თქვენი თავაზიანი წერილი, რომელიც თან მოჰყვა ვატიკანის II კრების დოკუმენტთა ქართულ გამოცემას.

უაღრესად გახარებული დავრჩი ამ წიგნის მიღებით, რომელიც, გარდა იმისა, რომ ნიშნავს გახსნილობას ამ ქვეყნის კულტურისადმი, უმჭველად დიდ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ საქართველოს კათოლიკებს, არამედ ყველა მათ, ვინც, მისი მეშვეობით, დაუახლოვდება კათოლიკე ეკლესიას უფრო ღრმად გასაცნობად.

ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს დაგიდასტუროთ, რომ მოგიხსენიებთ ჩემს ლოცვებში თქვენი მოღვაწეობის გამო ეკლესიის სამსახურში და გადმოგცემთ უფლისმიერ გულითად სალამს.

**ქრისტიანთა ერთობის ხელშეწყობის პაპის საბჭოს თავმჯდომარე  
გარდინალი ვალტერ კასპერი**

ვატიკანი  
28 იანვარი, 2007

## **კიდევ ერთი პრეზენტაცია**

სულხან-საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიის, ფილოსოფიის,  
კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტი, სასწავლო პროცესთან ერთად,  
ფართო საგამომცემლო საქმიანობით არის დაკავებული. თითქმის ყოველ  
თვე ინსტიტუტი ახალ წიგნს გამოსცემს. კარგ ტრადიციად დამავიდრდა  
ახლად გამოცემული წიგნების პრეზენტაციების მოწყობა საქართველოს  
პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მიმდინარე წლის 6 მარტს

ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა თეოლოგიის დოქტორის, ვაჟა ვარდიძის წიგნის „დოგმატური თეოლოგიის” პრეზენტაცია. ეს არის 500 გვერდიანი ფუნდამენტური სახელმძღვანელო დოგმატურ თეოლოგიაში, რომლის ანალოგი ქართულ ენაზე არ მოიპოვება. როგორც წიგნის წინასიტყვა გვამცნობს, ნაშრომი განკუთვნილია ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების, პედაგოგთა და სტუდენტებისათვის, რაც მთავარია, სახელმძღვანელო განკუთვნილია ქრისტიანული ღმრთისმეტყველებით დაინტერესებული ყველა პირისათვის. ნაშრომის მომზადებისას ავტორი ძირითადად დაუყრდნო გერმანულ ენაზე არსებულ თ. შნაიდერის რედაქტორობით მომზადებულ სახელმძღვანელოს, აგრეთვე ამ დარგში არსებულ დიდალ სამეცნიერო ლიტერატურას. ნაშრომში თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი ეპისტემოლოგიის საკითხები და ჰერმენევტიკა, შემდეგ თავებში ამომწურავადა განხილული ქრისტოლოგია, პევმატოლოგია, ეკლესიოლოგია, ესქატოლოგია, ტრინიტილოგია. სახელმძღვანელოს ერთის ვრცელი ბიბლიოგრაფია. წიგნი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული, რაც, ასევე, აღნიშვნას იმსახურებს.

კამერული ანსამბლის მიერ შესრულებული მშვენიერი მუსიკის ჰანგების თანხლებით, საკონფერენციო დარბაზი გერმანული პუნქტუალობით ზუსტად 5 საათზე შეივსო და ასევე პუნქტუალურად დაიწყო. შეხვედრა გახსნა სულხან-საბა თრბელიანის სახ. ინსტიტუტის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორმა ბატონმა ნუგზარ ბარდაველიძემ და მისთვის დამახასიათებელი ელეგანტურობითა და მსუბუქი იუმორით წარმართა ესოდენ სერიოზული წიგნის პრეზენტაცია. მცირე შესავლის შემდგომ, ბატონმა ნუგზარმა საზოგადოებას წარუდგინა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, წიგნის რედაქტორი ექვთიმე კოჭლამაზაშვილი. რედაქტორს ინსტიტუტის რექტორი და ამავე დროს პაპის ბიბლიის ინსტიტუტის ეგზეგატი მამა პიერ დიუმულენი შეენაცვლა. რედაქტორმაც და რექტორმაც ვრცლად გაანალიზეს წარმოდგენილი წიგნის დადებითი მხარეები, მისი როლი და მნიშვნელობა საქართველოში ღმრთისმეტყველების შესწავლის საქმეში, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ამიერკავკასიაში სამოციქულო ადმინისტრატორის, ეპისკოპოს ჯუზეპ პაზოტოს, გამოსვლა იყო. მან თავისი გამოსვლის ლაკონურობითა და სიღრმით შესანიშნავი მაგალითი მისცა ყველას, თუ როგორ უნდა საუბარი დმერთზე და ღმრთისმეტყველებაზე.

ეპისკოპოსის შემდგომ, წამყვანმა სიტყვა წიგნის გამოცემელს ბადრი შარვაძეს გადასცა. ბატონი ბადრი, გარდა იმისა, რომ პროფესიონალი და მაღალნაყოფიერი გამოცემელია, მეტად ორგინალური ხედვის ფილოსოფოსია და მისი შენიშვნები წარმოდგენილი წიგნის შესახებ მეტად სასარგებლო იყო, რომელთაც „დოგმატური თეოლოგიის“ ავტორი შემდგომი გამოცემებისას გაითვალისწინებს.

პრეზენტაციის დასასრულ თავად ავტორი წარუდგა საზოგადოებას. ბატონმა ვაჟამ ისაუბრა იმ წინაპირობაზე, რამაც განაპირობა აღნიშნული წიგნის გამოცემა და იმ სიმნელეებზეც,

რომელთაც წააწყდა წიგნზე მუშაობის პროცესში. მან მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც დაეხმარა „დოგმატური თეოლოგიის” სახელმძღვანელოს მომზადებისას. განსაკუთრებული მადლობას კი იმსახურებს კელნის მთავარეპისკოპოსი კარდინალი იოაკიმ მაისნერი, რომლის ფინანსური დახმარებითაც გამოიცა ქართულ ენაზე დოგმატური თეოლოგიის სახელმძღვანელო.

პრეზენტაციის ბოლოს კამერული მუსიკის ანსამბლმა (რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ იგორ შაგინიანი, ხოლო ერთ-ერთი მუსიკოსი სულხან-საბა ორბელიანის ინსტიტუტის სტუდენტია) კიდევ ერთხელ დაატკბო სმენა შესანიშნავი ჰანგებით. ხოლო იმ სტუმრებს, ვინც სამეცნიერო ინსტიტუტებსა და ბიბლიოთეკებს წარმოადგენდნენ, საჩუქრად გადაეცათ ვაჟა ვარდიძის „დოგმატური თეოლოგია”.  
პრეზენტაციის დასასრულ, ბატონმა ნუგზარმა მადლობა გადაუხადა შეკრებილ საზოგადოებას და შეახსენა, რომ დიდი ხნით არ მოუხდებოდათ განშორება, რადგან სულხან-საბა ორბელიანის სახელობის ინსტიტუტი და ქრისტიანული თეოლოგიისა და კულტურის ცენტრი მალე ახალი გამოცემებით გაახარებს წიგნის მოყვარულებს, ასევე მაის-ივნისში ინსტიტუტის თაოსნობით მოწყობილ რელიგიათმცოდნეთა საერთაშორისო სიმპოზიუმებს კვლავ უმასპინძლებს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზი, ხოლო უერნალი „საბა” ამ ლონისძიებათა უცვლელი საინფორმაციო მხარდამჭერი გახდავთ.  
მაშ ასე, მალე შეხვედრამდე, წინ ახალი საინტერესო შეხვედრები გველის.

**მანანა ბაქრაძე**

## **რელიგიათმცოდნეთა სიმპოზიუმი**

შარშან, მაისში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თეოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირის ინიციატივით, ასევე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და საქართველოს სახალხო დამცველის თანადგომითა და უერნალ „საბას” საინფორმაციო მხარდაჭერით, დაფუძნდა და ჩატარდა რელიგიათმცოდნეთა პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმი. სიმპოზიუმში რამდენიმე ქვეყნის 18 მეცნიერი იღებდა მონაწილეობას და ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისსა და წეროვანის სულიერებისა და კულტურის ცენტრში. სიმპოზიუმის მასალებით დაინტერესდნენ ამერიკელი კოლეგები და მათ მიერ შერჩეული რამდენიმე ნაშრომი ითარგმნა ინგლისურად.

სიმპოზიუმით მეცნიერთა დაინტერესებამ მის დამფუძნებლებს სტიმული მისცა, გაეფართოებინათ სიმპოზიუმის ფორმატი, ცალკე კრებულად გამოეცათ წაკითხული ნაშრომები. ასევე, თურქეთში მოქმედი „საქართველოსთან კულტურული მეცნიერებისა სოსიაციის” მესვეურებმაც გამოხატეს დიდი სურვილი და მზადყოფნა, სულხან-საბა ორბელიანის სახ. ინსტიტუტთან და რელიგიათმცოდნეთა კავშირთან ერთად, აქტიურად ჩაებან მის მზადებაში. ამ გზაზე პირველ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ

თურქეთის საქართველოსთან კულტურული მეგობრობის ასოციაციის გაწევრიანება საქართველოს სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოში.

რელიგიათმცოდნეთა მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი -- „საქართველო: რელიგია და თანამედროვეობა” ჩატარდება თბილისში, 2007 წლის 10, 11 და 12 მაისს. სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ ა. წ. 15 აპრილამდე სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტში (სულხან-საბა თრბელიანის ინსტიტუტის ადმინისტრაციული კორპუსი, გია აბესაძის ქუჩა, 4). სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენება არ უნდა აღემატებოდეს 7 ნაბეჭდ გვერდს.

2007 წლის 14, 15 და 16 ივნისს სულხან-საბა თრბელიანის სახ. ინსტიტუტი, საქართველოს რელიგიათმცოდნეთა კავშირი და თურქეთის საქართველოსთან მეგობრობის ასოციაცია, უურნალ „საბას“ საინფორმაციო მხარდაჭერით, ატარებს საერთაშორისო სიმპოზიუმს „რელიგიათა დიალოგი და გლობალიზაცია“. მსურველთა განაცხადები მიიღება 30 აპრილამდე.

დაწვრილებითი ინფორმაციას მოგაწვდით „საბას“ მომდევნო ნომერში.

1917 წლის 25 მარტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეა. ვულოცავთ ჩვენს მართლმადიდებელ თანამემამულეებს ამ დიოსტესანიშნავ დღესასწაულს – ავტოკეფალიის აღდგენის 90-ე წლისთაგს. ვუსურვებთ ყველას სულიერ ზრდასა და რწმენის სიმტკიცეს!

## ახალგაზრდული გვერდი

### გასეირნება აბასთუმნის ტყეში

გასული წლის ზაფხულში აბასთუმნის მახლობლად, ტყეში, ხანძარი გაჩნდა. დაიწვა ტყის დიდი ნაწილი. განვლო რამდენიმე თვემ, ტრაგედიის ადგილი თოვლმა დაფარა, ხოლო ჩვენ, როგორც ახალგაზრდებს შეჰვერის, აზრად მოგვივიდა ამ ტერიტორიის „დაპყრობა“. თავიდან ყველა მერყეობდა: სიცივე, მგლები, ალბათ დათვებიც, თუნდაც მძინარენი... ჩვენს გონებაში უფრო მეტად შიშს დაუსადგურებია, ვიდრე რისკს, მაგრამ მაინც გადავწყვიტეთ წასვლა...

სისხამ დილით, ოოდესაც არემარე ჯერ ისევ წევდიადს მოუცავს, ერთად ვიკრიბებით. გალიდან ნათია და თინიკო, არლიდან ნათია და მარეხი გვიერთდებიან, აბასთუმანში კი სიმონი და ვენერა გვემატება.

… უკვე აღმართზე ავდივართ ფერდობზე მცირე თოვლი დევს, მაგრამ ასასვლელი საქმაოდ დამრეცია. მძიმედ და დრმად ვსუნთქავთ, ჩვენს სახეებზე სულ მალე დაღლილობის კვალი ჩნდება, დროდადრო მოყინულ ნიადაგზე ვეცემით. საათზე მეტი ვიარეთ და დამწვარი ტყის ტერიტორიაზე აღმოვჩნდით. სანახაობა არცოუ ისე შემზარავია, ჩვენ უფრო საშინელ სურათს ველოდით, მიწა თეთრი ქათქათა თოვლითაა დაფარული, ხეებიც დგანან, მხოლოდ გაშავებულნი და მკვდარნი. მცირე შესვენების შემდეგ კვლავ ზემოთ მივიწევთ. თოვლი უფრო ღრმავდება. პირველად შევამჩნიერ მგლების ნაკვალევი. მთელი დღე წინაა, ასე რომ, – ზემოთ!..

გზადაგზა მშვენიერი ხედებია, ამინდიც ხელს გვიწყობს. მთები. ტყე. ჩვენს გაღმა, ქვემოთ, რჩება აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია. ჩვენს წინ თურქეთის მთები წამომართულან, საქმაოდ შორს – ვალის საზაფხულო იალაღები, უფრო შორს მთა – „დიდი აბული“, ახალქალაქის მახლობელი ვულკანი – ჩვენი წლევანდელი გასეირნების მიზანი. გზა თითქოს ადარ თავდება, ტყეში მანძილის განსაზღვრა ძნელია. სულ მაღლა და მაღლა მივიწევთ. ხანმოკლე სადილის შემდეგ გზას კვლავ ვაგრძელებთ. თოვლი სულ უფრო და უფრო ღრმავდება და თითქმის მუხლებამდე გვწვდება. შედარებით საშიშია დაბლა დაშვება, დაღმართი, კლდეები, ფეხის მოკიდება გვიჭირს, ხშირად ვეცემით, მაგრამ რბილ თოვლზე ტკივილს ვერ ვგრძნობთ. დაბლა ვეშვებით და აი, ჩვენი ცხვირის ნესტოები ბუხრებიდან ამოსულ კვამლის სუნს გრძნობს – უკვე აბასთუმანში ვართ. საოცრად დაღლილები, მაგრამ უვნებლები და აღტაცებულნი მშვენიერი ბუხების ხილვით: დამწვარი ტყე თოვლის თეთრ საბურველში გახვეულა, მკვდარი ხეების ტრაგიკულ სურათს ფარავს და თვალწინ მხოლოდ სილამაზე მოსჩანს. გაზაფზულზე და ზაფხულში კი, ალბათ, სევდისმომგვრელი იქნება იმავე ადგილების ხილვა.

აბასთუმანში მანუკიანების ოჯახმა სიხარულით გვიმასპინძლა: ლოცვა, ვახშამი, ცხელი ჩაი...

საკუთარ სახლებში უკვე გვიან დამით ვბრუნდებით. დარჩა მოგონება, სურათები, ვიდეოფილმი.

**ნათია ხითარიშვილი,  
თეა მანველიშვილი  
ვალის საქრებულო**

### როზა მამულაშვილი

- 20.09. 1925 წ., უდე
- + 3. 09. 2007 წ., ვალე

## სარჩევი

რედაქციის გვერდი  
კათოლიკური ეკლესია მსოფლიოში  
კათოლიკური ეკლესია საქართველოში  
პოეზიის სვეტი  
სოციალური პრობლემები  
სტატისტიკა  
საუბარი მოძღვართან  
ინფორმაცია  
ახალგაზრდული გვერდი

საგანგებო ჩანართი:  
კონსტიტუცია წმიდა ლიტურგიის შესახებ

### რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი  
ნუგზარ ბარდაველიძე  
ნატო ბიგვავა  
ვერიკო ნოზაძე  
მერაბ ლალანიძე  
ზაზა შათირიშვილი  
ციცინო ხითარიშვილი

### მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4  
ტელ.: 98-95-16  
რეგისტრაციის № 1853  
დაარსდა 1994 წ.  
მანანა ანდრიაძის მიერ  
© „საბა“, 2007

## კონსტიტუცია წმიდა ლიტურგიის შესახებ **SACROSANCTUM CONCILIUM**

### საგანგებო ჩანართი

მას შემდეგ, რაც „საბა“ თებერვლის ნომერში წარმოგიდგინეთ  
გატიკანის II კრების (1962-1965) დოგმატური კონსტიტუცია საღმრთო  
გამოცხადების შესახებ – *Dei Verbum*, ხოლო მარტის ნომერში დოგმატური  
კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ – *Lumen gentium*, ამჯერად გთავაზობთ  
კრების კონსტიტუციას წმიდა ლიტურგიის შესახებ – *Sacrosanctum*

**Concilium.** ჩანართის თემები უნდა გახდეს სტიმული და დახმარება, რათა შეგვეძლოს იმ საეკლესიო აქტების წართხვა, რომლებიც უკვე ქართულ ენაზე გამოქვეყნდა. ჩვენ, ქართველი კათოლიკები, ვერ ჩავთვლით თავს კათოლიკე ეკლესის ხაწილად, თუკი არ გავეცნობით ვატიკანის II კრების დიდ მოვლენას და მისი მსვლელობისას შექმნილ აქტებს. წმიდა მამა ბენედიქტე XVI წერს: “წლების მანძილზე კრების დოკუმენტებს არ დაუკარგავთ თავიანთი აქტუალურობა; მათი სწავლება უფრო მეტად პეტენტის ნათელს შესაბამის მხარეებს, რაც კავშირშია ეკლესის ახალ ინსტანციებთან და არსებულ გლობალიზებულ საზოგადოებასთან, ანუ შეიძლება ითქვას, კრება ჩვენთვის ყოველთვის იყო და რჩება აქტუალურად”.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

## I. კონსტიტუციის შემუშავება

### 1. წინმსწრები მოვლენები

კრების უწყებამ, რომელიც პაპმა იოანე XXIII-მ გამოაცხადა 1959 წლის 25 იანვარს რომში, წმ. პავლეს ბაზილიკაში, დიდად გააოცა, როგორც მთელი მსოფლიო, ასევე XII-ის მიერ 1948 წელს ლიტურგიის გენერალური რეფორმის მიზნით შედგენილი კომისია. ამ წლიდან მოყოლებული კომისიის მუშაობის ნაყოფი იყო: 1951 წელს საპასექო ცისკრის ადგენის; 1953 წელს ეპარისტიული მარხვის დაყვანა 3 სო-მდე; 1956 წელს წმიდა კვირის მთლიანი რეფორმა; 1958 წელს გამოქვეყნდა წერილი საკრალურ მუსიკისა და წირვაში ხალხის აქტიურ მონაწილეობის შესახებ. მოცემული მითითებები შესაძლებელს ხდიდა “საუფლო ლოცვის” ერთობლივად წარმოთქმას. ზოგიერთმა შენიშნა კიდევ: “როგორც იქნა გადადგა მუნჯების ენა”. 1960 წელს იოანე XXIII-მ გაავრცელა ახალი რუბრიკების კოდექსი, რომელიც წერტილს უსვამდა ხანგრძლივ, ოთხსაუკუნოვან პერიოდს, როდესაც ლიტურგია იგივდებოდა რუბრიკებთან.

### 2. მოსამზადებელი ფაზა

ამ მითითებებმა მიზნად დაუსახეს მთელს საეპისკოპოსოს, სასულიერო ორდენებსა და სასულიერო სასწავლებლებს კრების მომზადება. უარი თქვეს „კითხვარების“ შედგენაზე, ყველას მიეცა თავისუფლება, რომ საკუთარი წინადაღება შემოეტანა მომდევნო კრებაზე. პასუხებიდან ირკვევა, რომ საკმაოდ მრავლად იყო ლიტურგიული საკითხები, ასევე, სხვა საკითხებიც, რაც რუბრიკებს შეეხებოდა: რიტუალების გაცნობიერებაზე, ხალხის აქტიურ მონაწილეობაზე, საიდუმლოებების ახლებურ ხედვაზე, და პრაქტიკულ და აქტუალურ პრობლემებზე. შედგა კომისია, სხვადასხვა ქვეკომისიებით, რომლებსაც უნდა მოემზადებინათ კრების სქემა. შეხვედრებზე და მუშაობის პროცესში უფრო მწვავედ განიხილებოდა დასმული საკითხები; თამამად

ცდილობდნენ ახალი გზების გამოძებნას, როცა ქრისტიანული კულტი ძველ ტრადიციაზე იქნებოდა დამყარებული. ამაში მათ იმ ახალი დოკუმენტების აღმოჩენაც ეხმარებოდათ, როგორებიც იყო გრიგოლის, გელასისა და გერონის საკრამენტარიუმი, აღრეთვე, დიდაქტ და იპოლიტებისა და გერონის საკრამენტარიუმი – ყველა ის ტექსტი, რომლებიც უცნობი იყო ტრიდენტის კრებისათვის.

### 3. დისტანცია კრებაზე

კრება გაიხსნა 1962 წლის 11 ოქტომბერს, რომის წმ. პეტრეს ბაზილიკაში. პირველ გენერალურ სხდომაზე სამომავლოდ გადადეს ზოგიერთი აქტის მიღება ეკლესიის, ბიბლიის, თანამედროვე მსოფლიოს შესახებ, სამაგიეროდ, მიიღეს აქტი ლიტურგიის შესახებ. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ კრების მამებმა ეს აქტი ასე სწრაფად იმიტომ მიიღეს, რადგან ლიტურგია ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, თუმცა ეს მცდარი შეხედულებაა. ტექსტი, რომელიც წაკითხული და განხილული იქნა მამების მიერ, ნათელს ჰყენდა სრულიად უჩვეულო საკითხებს ლიტურგიის ირგვლივ. ისიც აღინიშნა, რომ მამების უმრავლესობამ ლიტურგიის აზრი აღმოაჩინა. მაშინ, როგორც მასმედია ლიტურგიული ენის (სადაოდ ქცეული „ლათინური კი / ლათინური არა“) სხვადასხვა კულტურასთან ადაპტაციის საკითხით იყო დაკავებული, კრების მამები ლიტურგიაზე საუბრობდნენ, როგორც საპასექო საიდუმლოზე, ეკლესია-საიდუმლოზე, რომელიც ჩვენი გამოსყიდვის საქმეს აღასრულებს; ლიტურგიაზე, როგორც ქრისტეზე, თავის სიტყვაში მყოფზე და ა.შ. ყველა ეს ახალი თემა გახლდათ. ვატიკანის II კრება ეკლესიის მამებისთვის ერთგვარი საკვალიფიკაციო კურსი გახლდათ ლიტურგიის საკითხებზე. თუმცა მასზე მხოლოდ როდი საუბრობდნენ, ყოველიდე ლიტურგიით ცხოვრობდნენ. გენერალური სხდომა ყოველთვის ისენებოდა ეკარისტიული აღნიშვნით და სახარების აღზევებით. წირვა სრულდებოდა არა მხოლოდ ლათინურად, არამედ სხვადასხვა დასავლური და აღმოსავლური რიტუალით (ბიზანტიური, სომხური, ასირიული, კოპტური, მალაბარული). ყველაფერი ეს კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდიდა ფორმაციისა და ლიტურგიის რეფორმის საჭიროებას, რათა ქრისტიანული ხალხის რწმენაში იგი ცენტრალურ აღგილს დაბრუნებოდა.

### 4. დამტკიცება

სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი ჯერ კიდევ II სხდომის ბოლოს, რომელსაც უძღვებოდა პაპი პავლე VI (მან გარდაცვლილი პაპის, იოანე XXIII-ის, საყდარი დაიკავა), კონსტიტუცია “Sacrosanctum Concilium” იყო პირველი, რომელიც მიიღეს; ის დამტკიცდა 2147 მომხრის ხმით 4-ის წინააღმდეგ. ალბათ, აღნიშვნის დირსია ამასთან დაკავშირებით პავლე VI-ის სიტყვები: “ხარობს სული ჩვენი ამ შედეგებით, პირველ რიგში, დმერთი; ლოცვა – ჩვენი პირველი ვალდებულება, ლიტურგია – პირველწყარო ჩვენთვის ნაუწყები ღმრთაებრივი ცხოვრებისა, პირველი

სკოლა ჩვენი სულიერი ცხოვრებისა, პირველი ძღვენი, რის გაკეთებასაც შევძლებთ ქრისტიანი ერისთვის, მორწმუნებზე და მლოცვლებზე, და პირველი უწყება წუთისოფელში, რათა ლოცვად დაიღვენოონ ნეტარნი და მართალნი, გალდვეს მისი მუნჯი ენა და შეიგრძნოს დაუშრებელი და განმაახლებელი ძალა ჩვენი გალობისა საღმრთო ქებად და კაცოა სასოებად, უფალი ქრისტეს მიერ და სული წმიდისა თანა”. ეს მოხდა 1963 წლის 4 დეკემბერს. ზუსტად ოთხი საუკუნით ადრე 1563 წლის 4 დეკემბერს ტრიდენტის კრების დახურვის წუთებში, რომის ეკლესიას მოვალეობად დაეკისრა ლიტურგიული წიგნების რეფორმა (შემდგომში „მესალედ“ წოდებული) და პიუს V-ის ლოცვანი, ვინაიდან ტრიდენტის კრებამ საამისოდ ველარ მოიცალა. ვატიკანის II კრებამ სწორედ ლიტურგიას მიუძღვნა თავისი პირველი და საუკეთესო დრო!

## II. წმიდა კრების უმთავრესი მონაპოვარი

1965 წლის 13 იანვარს, პავლე VI-მ, ვატიკანის II კრების მიერ წამოწყებული ლიტურგიული რეფორმის შესახებ განაცხადა: „ჩვენ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ კრებაზე ახალი სულიერი პედაგოგიკა დაიბადა; ეს მისი დიდი სიახლეა და სრულიად უყოფმანოდ, პირველ რიგში, როგორც მოწაფეებმა და შემდეგ, როგორც მხარდამჭერებმა, მივიღოთ ლოცვის სკოლა, რომელიც ახლა შლის ფრთხის. რეფორმები შეიძლება შეეხოს ჩვენთვის ახლობელ და პატივსაცემ წეს-ჩვეულებებს, რეფორმამ შეიძლება დიდი ძალის ხმელეთი მოითხოვოს პირველ და მოულოდნელ უსიამოვნებებზე, მაგრამ ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სულგრძელობა და არ დავკარგოთ იმედი. რელიგიური და სულიერი მხარე, რომელიც წინ გადაგვიშალა ლიტურგიულმა კონსტიტუციამ, მართლაც რომ საკვირველია თავისი დოქტრინური სიღრმით და ავთენტიკურობით, ქრისტიანული ლოგიკის რაციონალურობით, საკულტო და ხელოვნების ელემენტების სიმდიდრით და სიწმიდით, სულიერ თანაგრძნობაზე და თანამედროვე ადამიანის საჭიროებებზე ყურადღებით“. ამ სიტყვებში არ შეიძლება, არ იგრძნო ის გამოძახილი, რაც პირველ რეაქციად მოჰყვა ლიტურგიის როფორმას კათოლიკე ეკლესიის წიაღში. ამგვარი განახლება უნდა ყოფილიყო არა უბრალო წეს-ჩვეულების შეცვლა, არამედ ეკლესიის მთელი სხეულის არსებობის, აზროვნების და მოქმედების სიღრმისეული ძვრების გამოწვევა. პავლე VI ამას „ახალ სულიერ პედაგოგიკას“ უწოდებდა. თუკი კარგად გადავხედავთ მას, 40 წლის შემდეგ ვერ ვიტყვით, რომ მთლიანად იქნა გადმოცემული სიახლის ის მუხრი, რომელიც ლიტურგიის შესახებ მიიღო ვატიკანის II კრებამ.

ამდენად, ყველა საკრებულო, ყველა მორწმუნე მოვალეა, რომ შეიცნოს და დაფიქრდეს იმ უმთავრეს ასპექტებზე და ყველაზე მნიშვნელოვან შენაძებზე იმ „ავთენტიკური ლოცვის სკოლაზე“, რისი უმთავრესი შთამაგროებელიც იყო წმიდა კრება.

## III. კონსტიტუციის სიახლე

ერთი შეხედვით, კონტიტუცია ლიტურგიის შესახებ ორ პოლუსზე შეიძლება მოვათავსოთ: 1. საპასექო საიდუმლოს ცენტრალურობა და ლიტურგიის მიზანი; 2. ღმრთის მთელი ერის აქტიური მონაწილეობა (როგორც სამღვდელოებისა, ისე საეროებისა) და ლიტურგიის, როგორც საკრებულოს, დახასიათება.

## 1. საპასექო საიდუმლოს ცენტრალურობა და ლიტურგიის მიზანი

მას, ვისაც ლიტურგიის განსაზღვრების მოსმენა სურს, ძნელად თუ იპოვის კრების ამ კონსტიტუციაში; მართლაც, ის არაფერს ამბობს, თუ რას წარმოადგენს ლიტურგია თავისთავად, აჩვენებს მას მთელი ქრისტიანული ცხოვრების წყაროდ და მწვერვალად, იმით, რასაც ხორცი ესხმება. ლიტურგიის მეშვეობით საღმრთო ევარისტიის შესაწირავში „ხორციელდება ჩვენი გამოსყიდვის საქმე“ (SC, 2). სხვა სიტყვებით, ლიტურგია განსაზღვრულია, როგორც ღმრთის მიერ დაწყებული ხსნის საქმის გაგრძელება; ლიტურგია მოქმედებაში მყოფი ღმერთია. ლიტურგია მორწმუნეთა მხრიდან ნაყოფიერი მონაწილეობაა ქრისტეს საიდუმლოში. გაცილებით იმაზე მნიშვნელოვანია იმის შეცნობა, თუ რა მიზეზით სრულდება ლიტურგია, ვიდრე როგორ აღესრულება ის. ჩვენთვის, ქრისტიანებისათვის, „გამოსყიდვის საქმე“ არ არის არც ფორმა და არც შინაარსი, იგი პიროვნებაა – იესო ქრისტე. მოციქულ პავლესთან ერთად იმის აღიარება, რომ „ქრისტე იესო გახდა ჩვენთვის გამოსყიდვად“ (1 კორ. 1,30), ნიშავს გვწამდეს, რომ ჩვენი ხსნა არ არის ქრისტეს რომელიმე ნაწილი, ეს მთელი მისი საიდუმლოა, თავისი ადამიანურობით და თავისი ღმრთაგებრიობით. იგი არის იარაღი ჩვენი ხსნისა. სწორედ ეს არის ლიტურგია. „ადამიანთა გამოსყიდვისა და ღმრთის სრულყოფილი განვითარების საქმე, რომელსაც ჰყელი აღთქმის ხალხის სასწაულები უძლოდა, უფალმა იესო ქრისტემ დაასრულა. მან, ეს, უპირველეს ყოვლისა, აღდგომის საიდუმლოებით აღასრულა: ნეტარი ვნების, მკვდრეობით აღდგომისა და დიდებული ამაღლების მეშვეობით“ (SC, 5). შეიძლება ითქვას, რომ კრების მამებმა ინებეს ქრისტეს საპასექო საიდუმლო ლიტურგიის მიზნად და შინაარსად ექციათ, მთელი ლიტურგია მიეყვანათ მის პერმანენტულ წყარომდე, სუფთა სათავემდე, საიდანაც იგი თავის ბუნებას ამოხაპავდა და საკუთარ ავთენტიკურობას გადახედავდა. არა იმდენად, თუ როგორ ტარდებოდა ლიტურგია ამა თუ იმ პერიოდში, რამდენადაც ქრისტეში, რასაც ეკლესია აღიარებდა. კონკრეტულად, ვიდრე საპასექო საიდუმლო, ყოველწლიურად აღდგომაზე აღნიშნული და ყოველკვირეულად აღსრულებული, არ იქცევა ლიტურგიის აღსრულების უმთავრეს მოტივად, გაგვიჭირდება შემოვიყანოთ ვატიკანის კრების განმანახლებელი სული, გაგვიჭირდება ლიტურგია დღევანდელ დღეს აღვიქვათ ღმრთის ხსნის გამომსყიდველი საქმის გაგრძელებად და იმ ძღვენში მონაწილეობად, რაც უფალმა გაგვიმზადა თავისი სიკვდილით.

## 2. ღმრთის მთელი ერის, ისევე, როგორც სამღვდელოების,

## აქტიური მონაწილეობა და ლიტურგიის სამრევლო დახასიათება

კრებამ განაცხადა, რომ დედა ეკლესიას სურს, რათა ყველა ერთგულმა სრულად, შეგნებულად და აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ლიტურგიულ მსახურებაში, რასაც თავად ლიტურგიის ბუნება ითხოვს. ნათლობის ძალით ეს არის უფლება და მოვალეობა ქრისტიანი ხალხისა. სრული, შეგნებული და აქტიური მონაწილეობა ლიტურგიაში არ არის მხოლოდ მორწმუნეთათვის მინიჭებული მადლი, ეს არის თავად ლიტურგიის ბუნების მოთხოვნა. კრება იწონებს „ყოველთვის, როცა წესები, თითოეული თავისებურად, გულისხმობს ერთობლივ ღმრთისამსახურებას, რომელშიც ერთგულები ხშირად და აქტიურად იღებენ მონაწილეობას, მაშინ სასურველია, რომ შეძლებისდაგვარად, მათ მიენიჭოთ უპირატესობა, ცალკეულ და ერთგვარად, კერძო ღმრთისამსახურებასთან შედარებით. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა, წირვის აღსრულებას (მას მუდამ აქვს საჯარო და სოციალური ბუნება), აგრეთვე საიდუმლოთა განგებულებას“ (27). ეს აზრი უნდა წავიკითხოთ იმ ახალი აღთქმის ერის მოვალეობის კუთხით, რომელიც მონათლულთაგან შედგება... ლიტურგია საკრებულო აქტია, რადგანაც იგი მთელი ერის სამღვდელოებრივი აქტია, რომელიც ქრისტეში უპასუხებს ღმრთისაგან მიღებულ მოწოდებას – იყოს მისი ახალი ერი. კონსტიტუცია არაფერს ამბობს ორი სამღვდელობის – მორწმუნების და ხელდასხმულების – ადგილსამყოფებზე, არც მათ განსხვავებულ ონგრლოგიაზე. ამაზე მოგვიანებით ისაუბრებს კონსტიტუცია Lumen Gentium: „ერთგულთა საზოგადო მღვდელმსახურება და მსახურებით და იერარქიული მღვდელმსახურება ერთმანეთისგან არა მხოლოდ ხარისხით განსხვავდება, არამედ არსებითაც. ამავე დროს, ისინი ურთიერთდაქვემდებარებულნი არიან: ერთიცა და მეორეც თავისებურად მონაწილეობს ქრისტეს ერთიან მღვდელმსახურებაში“ (10). ამგვარი მსჯელობის წინაშე უნდა ვიკითხოთ, რა ხარისხში შეუძლიათ მორწმუნებს ლიტურგიაში მონაწილოება? ვატიკანის II კრების მიერ წამოწყებულ რეფორმას არ სურდა დარჩენილიყო გარეგნულ ცვლილებად – ენის, საკურთხევლის, გალობების, ადათების შეცვლა – მას, პირველ რიგში, შინაგანი ცვლილება სურდა, რათა ნათლობის წყალობით აღმოჩენილიყო ყოველი ქრისტიანის დირსება, რის გამოც იღვწის ხელდასხმული სამღვდელოება.

ყდის უკანა გვერდისათვის:

აკაკი წერეთელი

ქრისტე აღდგა!

მარიამ იაკობისი,  
მარიამ მაგდალინელი  
და მასთან ერთად სალომე,  
ქრისტეს საფლავის მძებნელნი,

მოსულან წელსაცხებლითა,  
რათა სცხონ გვამსა დიდებულს,  
მაგრამ შემკრთალან, რომ ხედვენ  
დიდ ლოდსა გადაგორებულს.

მკვდარი არსად ჩანს... და მარჯვნივ  
ჭაბუკი ვინმე მდგომარე,  
სპეტაკი შესამოსლითა  
ნათლითა მოსხივცისკარე,

მათ ეუბნება: “რად შეკრთით?  
ანგელოზი ვარ მე მცველი,  
აწ გიხაროდენ, ზე აღდგა  
იქსო ნაზარეველი!”

მენელსაცხებლეთ აევსოთ  
სიხარულითა მყის გული  
და მიახარეს ქვეყანას:  
“აღდგაო მკვდრეთით ჯვარცმული!

აღდგა, ვინც სისხლი დასთხია  
ახალი რჯულის დგრიტადო!”  
ცა და ქვეყანაც პასუხად  
იძახის: “ჭეშმარიტადო!”